



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Youth




---

# სოციალური მენარმეობა საქართველოში

საკანონმდებლო გარემო, გამოწვევები და  
საერთაშორისო პრაქტიკა



# სახჩევი

შესავალი.....	3
ძირითადი მიგნებები .....	4
სოციალური მენარმეობის არსი და განმარტება.....	6
სოციალური მენარმეობა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები .....	10
სოციალური საწარმოების ზოგადი ეკოსისტემა.....	12
სოციალური მენარმეობა საქართველოში - ზოგადი მიმოხილვა და ჩატარებული კვლევის შედეგები.....	14
სოციალური მენარმეობის კულტურა.....	19
საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო .....	24
პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტები, მუნიციპალური აქტები.....	29
ინსტიტუციური ჩარჩო .....	32
წვდომა ფინანსებთან .....	35
არასაკრედიტო მექანიზმები - ინვესტიცია, გრანტი, სუბსიდია .....	35
საკრედიტო ფინანსური ინსტრუმენტები .....	36
საგადასახადო შეღავათები, უპირატესობები და სტიმულები .....	37
წვდომა ბაზარზე .....	39
სისტემური დახმარება უნარებისა და ბიზნესის განვითარების კუთხით .....	41
გავლენის მართვა, შეფასება/გაზომვა და ანგარიშგება .....	43
დასკვნა და რეკომენდაციები.....	48

## შესავალი

წინამდებარე სამაგიდო კვლევა შემუშავდა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (Caucasus Environmental NGO Network (CENN)) დაკვეთით პროექტის EU4Youth: „სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისათვის“ ფარგლებში.

კვლევა მიზნად ისახავს, შეისწავლოს საქართველოში სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის არსებული ელემენტები, გამოწვევები და შესაძლებლობები, გააანალიზოს საზღვარგარეთის პრაქტიკისა და მისი ქართულ რეალობასთან ადაპტირების შესაძლებლობები.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მეწარმეობა შედარებით ახალი სფეროა, საქართველოში აღნიშნულ თემაზე არაერთი სიღრმისეული კვლევა თუ ანალიზია ჩატარებული. წინამდებარე მიმოხილვის მცდელობაა, სათანადო ყურადღება დაუთმოს სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის ყველა ელემენტს და ევროკავშირის გამოცდილების გათვალისწინებით, აღნიშნული ელემენტები, პირობითად, შვიდ მთავარ მიმართულებად (ზოგადი კულტურა, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო, ინსტიტუციური ჩარჩო, წვდომა ფინანსებთან, წვდომა ბაზარზე, სისტემური დახმარება უნარების განვითარების კუთხით, გავლენის მართვა, შეფასება და გაზომვა) დაყოს. გარდა ამისა, ნაშრომის მიზანია, მკითხველებსა და გადამწყვეტილების მიმღებ პირებს ნათლად დაანახოს კავშირი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასა და სოციალურ მეწარმეობას შორის.

დოკუმენტის მომზადების პროცესში, ასევე, ჩატარდა სოციალურ მეწარმეთა და მხარდამჭერი სისტემის (კერძო, საჯარო, არასამთავრობო სექტორი) წარმომადგენელთა გამოკითხვა სფეროსადმი დამოკიდებულებების, გამოწვევებისა და განვითარების გზების იდენტიფიცირებისთვის. გარდა ამისა, სოციალურ საწარმოებს გაეგზავნათ კითხვარი, რომლის მიზანს წარმოადგენდა მათი საქმიანობის სფეროს, შემოსავლის წყაროების, სოციალური მიზნისა და პრობლემების განსაზღვრა.

დისკუსიისა და გამოკითხვის შედეგები, საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვასთან ერთად, განზოგადებულია დოკუმენტის სხვადასხვა თავში და საფუძვლად უდევს იდენტიფიცირებულ გამოწვევებსა და რეკომენდაციებს.

დოკუმენტი ასახავს სოციალური მეწარმეობის სფეროში ამ დროისათვის გამოკვეთილ გამოწვევებს საკანონმდებლო, ინსტიტუციურ თუ პრაქტიკულ დონეებზე. საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის, მოქალაქეების ინიცირებული მოძრაობებისა და სოციალური მდგრადობის აღქმის სისუსტის გამო, საზოგადოებაში სოციალური ეკონომიკის მიმართ ინტერესი ნელა ღვივდება. შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობის პირობებში, რთულდება სოციალური საწარმოების იდენტიფიცირება, შესაბამისი სამართლებრივი ფორმის შერჩევა, რაც აისახება საგადასახადო, ფონდებისა და შემოსავლის წყაროების მოძიების პროცესზე. მხარდამჭერი სისტემის სისუსტე და სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო სექტორის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სოციალური მეწარმეობის რაობისა და ძირითადი მახასიათებლების მიმართ, სექტორის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამები მწირია და ნაკლებადაა მორგებული სფეროში არსებულ

გამონწვევებსა თუ განვითარების პერსპექტივებს. აღნიშნული, ნაწილობრივ იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო დონეზე არაღიარების პირობებში, ფაქტობრივად შეუძლებელია მონაცემების შეგროვება სოციალური საწარმოების, მათი საქრობებისა თუ შესაძლებლობების შესახებ. სოციალური მეწარმეების ნაწილი აქცენტს მდგრად ბიზნესზე ნაკლებად აკეთებს, რაც შესაბამისი სამეწარმეო უნარების ნაკლებობითაც შეიძლება აიხსნას. ყველა აღნიშნული ფაქტორი გავლენას ახდენს სოციალური საწარმოების მდგრადობასა და განვითარების პერსპექტივებზე.

მიუხედავად ამისა, სოციალურ საწარმოებთან ჩატარებულმა დისკუსიამ და პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ ამ ტიპის მეწარმეთა შესაბამისი უნარებით აღჭურვის შემთხვევაში, მათი ხელშემშლელი ფაქტორების მიუხედავად, აქვთ ბიზნესის წარმატებით მართვისა და გაფართოების შესაძლებლობა. სოციალური თუ გარემოსდაცვითი მიზნის წყალობით კი მათი დასაქმების პოლიტიკა, გავლენა გარემოზე, სურვილი და რესურსი, სამეწარმეო თუ სამოქალაქო აქტივიზმის უნარებით აღჭურვონ ადგილობრივი თემი, სრულადაა მორგებული მდგრადი განვითარების სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტებს.

## ძიითადი მიგნებები

- საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების პროცესი საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით უკვე ათწლეულზე მეტია, რაც მიმდინარეობს. კვლევის განხორციელების მომენტისათვის, სოციალური საწარმოთა ალიანსის მონაცემებით, საქართველოში ამ სფეროში 63 სოციალური საწარმო მოქმედებს. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს თემისა თუ მუნიციპალიტეტის დონეზე არსებული სოციალური, საგანმანათლებლო და გარემოსდაცვით გამოწვევებზე მუშაობა.
- მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო დონეზე უკვე არაერთხელ მოხდა სოციალური მეწარმეობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ინიცირება, სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ არსებობს. ამდენად, სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიული პირების სახით რეგისტრირებული ორგანიზაციების სოციალურ საწარმოებად კლასიფიკაცია ინდივიდუალური სურვილის მიხედვით ხდება. სფეროთი დაინტერესებული დონორი ორგანიზაციებისა თუ ფინანსური ინსტიტუტების მიერ საკუთარი პროგრამების მიზნებისათვის სოციალური საწარმოების განმარტებაც ინდივიდუალურია.
- სოციალური საწარმოების წინაშე მრავალფეროვანი გამოწვევები დგას. მათ შორისაა სამეწარმეო უნარების ნაკლებობა, რაც საქმიანობის მდგრადობაზე აისახება; შესაბამისი ეკოსისტემის ნაკლოვანებები - რეგულატორულ თუ პოლიტიკურ ინსტრუმენტებთან, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებთან, საზოგადოებრივი ცნობიერებისა თუ საქმიანობის სოციალური გავლენის შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეები.
- სახელმწიფო და ორგანიზაციული მხარდაჭერის კუთხით აღსანიშნავია, რომ სექტორის გაძლიერების კუთხით, ძირითადად, საერთაშორისო და ადგილობრივი

არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობა შეიმჩნევა. მათ შორისაა: აქსელერატორები, ინკუბატორები; საერთო სამუშაო სივრცეები; სოციალურ სანარმოთა ალიანსი; აკადემიური სექტორის ორგანიზაციები. ხოლო სახელმწიფო დონეზე სოციალური მენარმეობის მხარდამჭერი ინიციატივები წერტილოვან და მწირ ხასიათს ატარებს.

- მიუხედავად არსებული გამოწვევების სიმრავლისა, რომლებზეც ქვედა თავებში ვისაუბრებთ, სოციალური ეკონომიკისა და მენარმეობის პოტენციალის, საერთაშორისოგამოცდილების, მდგრადიგანვითარების მიზნებთან სფეროს მჭიდრო კავშირის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები სათანადო ეკოსისტემის შესაქმნელად. კერძოდ, ჰოლისტური მიდგომის დანერგვის შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო, კერძო სექტორი, დონორი ორგანიზაციები და სოციალური სანარმოები გადადგამენ ნაბიჯებს სოციალური ეკონომიკის განსავითარებლად ისეთ დარგებში, სადაც სახელმწიფო სერვისის მიწოდება არა ხარჯეფექტური ან უბრალოდ ძვირია, ხოლო ტრადიციულ სანარმოებს საქმიანობის ინტერესი ნაკლებად აქვთ, შესაძლებელია საფუძველი ჩაეყაროს საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) ახალ მიმართულებას, განსაკუთრებით, ისეთ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც ინოვაციის ხელშეწყობას ეხება, რადგან ინოვაციური მიდგომების დანერგვა სოციალური მენარმეობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი შეიძლება იყოს. თუმცა, ამგვარი პარტნიორობის დამყარების მიზნით აუცილებელია სოციალურ სანარმოთათვის შესაბამისი ეკოსისტემის შექმნა და მათი შესაძლებლობების არსებითი გაძლიერება.

## სოციალური მეწახმეობის ახსი და განმახლება

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, სოციალური მეწარმეობის ფენომენი საკმაოდ აქტუალური გახდა როგორც პრაქტიკაში, ისე აკადემიური კვლევის თვალსაზრისით. სოციალური მეწარმეობა შეიძლება განიხილოს როგორც საქმიანობა, რომელიც რესურსების ინოვაციური გამოყენების გზით უზრუნველყოფს სოციალური ცვლილების დაჩქარებასა და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას<sup>1</sup>. **მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მეწახმეობა ბაზაზეა ორიენტირებული, გზადიციური ეკონომიკური საქმიანობისაგან განსხვავებით, მისთვის მოგება მიზნის მიღწევის საშუალებაა და ახა თვითმიზანი - მოგება გამოიყენება საზოგადოებისათვის სოციალური ფასეულობის შესაქმნელად და/ან სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით<sup>2</sup>.**

**ამგვარად, სოციალური მეწახმეობა შეიძლება ჩაითვალოს პიხები, რომლებიც კომეხციური საქმიანობის გზით და მათ ხედთ ახსებული ხესუსების დახმარებით, სოციალური ფასეულობის შექმნას ცდილობენ<sup>3</sup>.**

სოციალური მეწახმეობის განმახლებასთან დაკავშირებულ ახთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ამ გიპის საქმიანობის მთავარი მახასიათებლებია:

- სოციალური ან ეთიკური მისია, რომელიც სოციალური ფასეულობის შექმნას ეკონომიკურზე წინ აყენებს<sup>4</sup>;
- შემოსავლის მიღება კომეხციური/ეკონომიკური საქმიანობის გზით<sup>5</sup>;
- საწარმოს მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პიოცესში დაინტეგრირებულ პიხთა მონაწილეობა<sup>6</sup>;
- მოგების შეზღუდული განაწილება<sup>7</sup> და
- სოციალური პიობდემების გადაწყვეტის პიოცესში ინოვაციური მიდგომების გამოყენება<sup>8</sup>.

---

1. Mair, J. and Martí, I. (2006), "Social entrepreneurship research: a source of explanation, prediction, and delight", Journal of World Business, Vol. 41 No. 1, pp. 36-44.

2. [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---africa/---ro-abidjan/---sro-cairo/documents/publication/wcms\\_589097.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---africa/---ro-abidjan/---sro-cairo/documents/publication/wcms_589097.pdf)

3. Bacq, S. and Janssen, F. (2011), "The multiple faces of social entrepreneurship: a review of definitional issues based on geographical and thematic criteria", Entrepreneurship & Regional Development, Vol. 23 Nos 5/6, pp. 373-403

4. Defourny, J. and Nyssens, M. (2006), "Defining social enterprise", in Social Enterprises – at the Crossroads of Market, Public Policies and Civil Society, (Ed.), M. Nyssens, Routledge, London and New York, NY, pp. 3-26.

5. Langdon, D. and Burkett, I. (2004), "Defining social enterprise enterprising ways to address long-term unemployment", Book One: The New Mutualism Series, PI Productions, Palmwoods Queensland.

6. Defourny, J. and Nyssens, M. (2006), "Defining social enterprise", in Social Enterprises – at the Crossroads of Market, Public Policies and Civil Society, (Ed.), M. Nyssens, Routledge, London and New York, NY, pp. 3-26.

7. Langdon, D. and Burkett, I. (2004), "Defining social enterprise enterprising ways to address long-term unemployment", Book One: The New Mutualism Series, PI Productions, Palmwoods Queensland.

8. Dees, J.G. (2003), "Social entrepreneurship is about innovation and impact, not income. Social edge", available at: [https://centers.fuqua.duke.edu/case/wp-content/uploads/sites/7/2015/02/Article\\_Deas\\_SEisAboutInnovationandImpactNotIncome](https://centers.fuqua.duke.edu/case/wp-content/uploads/sites/7/2015/02/Article_Deas_SEisAboutInnovationandImpactNotIncome)

სოციალური სანარმოს მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მათი ძირეული მახასიათებლები სისტემური სახითაა წარმოდგენილი ევროკომისიის მიერ სოციალური ბიზნესინიციატივის (2011-2018) ფარგლებში შემუშავებული და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დეფინიციებში. კერძოდ, როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონული განმარტებების თანახმად, სოციალური მეწარმეობის მთავარი მახასიათებლები სამ განზომილებას მოიცავს:

- **სოციალური განზომილება** - ნათლად განსაზღვრული სოციალური მისია, რომლის შესრულება სანარმოს/მეწარმის პრიორიტეტი<sup>9</sup> და აღნიშნული მიზანი წესდებაში ნათლად უნდა იყოს გაწერილი. ამასთან, სოციალური სანარმოს მიერ შექმნილი მომსახურება თუ პროდუქტი, ასევე, სოციალური უნდა იყოს ბენეფიციარებისა და საზოგადოებისათვის პირდაპირი სარგებლის მიწოდების გზით<sup>10</sup>. ტერმინი „სოციალური“ და სანარმოს საქმიანობის სფერო შეიძლება განსხვავდებოდეს შესაბამის თემში/საზოგადოებაში არსებული გამოწვევების შესაბამისად და იცვლებოდეს დროისა და ტერიტორიის მიხედვით. ევროკომისიის ფარგლებში შემუშავდა დამატებითი მინიმალური კრიტერიუმი, რომელიც მოითხოვს, რომ სოციალური მიზნის პრიმატი ნათლად უნდა ჩანდეს ეროვნულ კანონმდებლობაში, სოციალურ სანარმოთა დაფუძნების დოკუმენტებსა და სხვა რეგულაციებში<sup>11</sup>.
- **სამეწარმეო/ეკონომიკური განზომილება** - მდგრადი ბიზნესმოდელი, რომლის ფარგლებშიც შემოსავალი უნდა აჭარბებდეს დანახარჯს. ამ კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, რომ სანარმოს მიერ პროდუქტის/მომსახურების წარმოება ატარებდეს მდგრად და განგრძობად ხასიათს<sup>12</sup>. სოციალური სანარმოები ბაზარზე ორიენტირებულნი უნდა იყვნენ, რაც იმას გულისხმობს, რომ სანარმოს/მეწარმის შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი (სრული შემოსავლის მინიმუმ 25%)<sup>13</sup> უნდა იყოს ეკონომიკური/სამეწარმეო საქმიანობის გზით, ნაცვლად გრანტებისა და დონაციებისა. ტრადიციული სანარმოების მსგავსად, კონკურენტუნარიანი პროდუქტისა თუ მომსახურების შექმნისა და მიწოდების მიზნით, სოციალური სანარმოს თანამშრომლებს (როგორც ანაზღაურებად მუშაკებს, ისე მოხალისეებს) უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უნარები, აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა<sup>14</sup>. ამასთან, პროდუქტის/სერვისის წარმოება, თუნდაც ნაწილობრივ, უნდა ხდებოდეს მონეტარული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ფაქტორების (ანაზღაურებადი შრომა, კაპიტალისა და აქტივების აკუმულირება) გზით, თუმცა საწყის ეტაპზე, მდგრადობის მისაღწევად, შესაძლებელია მოხალისეობრივი შრომისა და არაკომერციული რესურსების (გრანტი, დონაცია) გამოყენება. სოციალური სანარმოების მიერ წესდებით განსაზღვრული მიზნების შესრულება სათანადო ფინანსურ შემოსავალს მოითხოვს, რაც ეკონომიკური რისკის უნართანაა დაკავშირებული. ამასთან, მათ უნდა დააბალანსონ შრომის სამართლიანი ანაზღაურება, კაპიტალისა და ფართო საზოგადოებისათვის სოციალური ფასეულობის შექმნა.

9. ILO

10. <https://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=en&catId=952&furtherNews=yes&newsId=9534>

11. <https://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=en&catId=952&furtherNews=yes&newsId=9534>

12. ILO

13. <https://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=en&catId=952&furtherNews=yes&newsId=9534>

14. <https://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=en&catId=952&furtherNews=yes&newsId=9534>



- **ინკლუზიური მმართველობითი განზომილება** - დაინტერესებულ პირებთან ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხი, რომელიც გამოხატულია სოციალური გავლენის შეფასებისა და ბენეფიციარებისათვის გაზიარების მექანიზმის არსებობაში<sup>15</sup>. სოციალური მიზნის პრიმატის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოგების განაწილებასთან დაკავშირებით ლიმიტების დანესება და „აქტივების ჩაკეტვა“. ეს უკანასკნელი გულისხმობს ნებისმიერი აქტივის, მათ შორის მოგების, აღჭურვილობისა თუ ინფრასტრუქტურის მენეჯერებსა და თანამშრომლებზე გასხვისების შეზღუდვას, რაც, საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, აქტივების საზოგადოებრივ ფასეულობად გარდაქმნას უწყობს ხელს. რიგ შემთხვევებში შეიძლება დანესდეს მენეჯერებისა და თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ლიმიტები საიმისოდ, რომ არ მოხდეს მოგების არაპირდაპირი განაწილება. საწარმოს სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარე (თანამშრომლები, ბენეფიციარები/მომხმარებლები). ამასთან, საწარმოზე საკუთრებისა და კონტროლის უფლება შეიძლება დაინტერესებულ პირთა ერთ კატეგორიას (მაგ.: თანამშრომლები, დამფუძნებლები) მიენიჭოს. ბენეფიციარების/მომხმარებლების ნაწილი შეიძლება მმართველობითი ორგანოების ან სპეციალური კომიტეტების წევრებად აღიარონ. ევროკომისიის მიერ შემუშავებული დეფინიციის ფარგლებში, მინიმალური სტანდარტის თანახმად, ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ საწარმოს მმართველობითი და ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფდეს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით სოციალური საწარმო შეიძლება განიმარტოს როგორც საწარმო, რომელიც კომერციულ საქმიანობას ახორციელებს სოციალური და საზოგადოებრივი სიკეთის შესაქმნელად ან/და სოციალური საჭიროებების საპასუხოდ და რომლის მართვის პროცესი გამჭვირვალეა, მაღალი პასუხისმგებლობით, თანამშრომელთა, მომხმარებელთა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობით და მათ მიმართ ანგარიშვალდებულებით.

საერთაშორისო პრაქტიკის თვალსაზრისით, არ არსებობს ერთიანი მიდგომა განმარტებასთან დაკავშირებით. ქვეყნების ნაწილი იყენებს **ოიგანიზაციულ განმახგებას**, რომელიც სოციალურ მენარმეობად აღიქვამს ნებისმიერ სფეროში მოქმედ საწარმოს, რომელიც სოციალური საწარმოს არსებით სტანდარტებს აკმაყოფილებს. **ოიგანიზაციული განმახგებები აყადიბებს სოციალური მეწახმეობის ამომწუხავ მახასიათებლებს, ხომდებიც შესაბამის კანონმდებლობაში აისახება.**

15. [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---africa/---ro-abidjan/---sro-cairo/documents/publication/wcms\\_589097.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---africa/---ro-abidjan/---sro-cairo/documents/publication/wcms_589097.pdf)



ქვეყნების სხვა ნაწილში გამოიყენება **სექტორული მიდგომა**, რომელიც სოციალურ საწარმოდ მიიჩნევა მხოლოდ სოციალური ინკლუზიის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს, რომლებიც შრომის ბაზარზე მოსახლეობის ინტეგრაციას უწყობენ ხელს (სამუშაო ინტეგრაციის სოციალური საწარმოები (work integration social enterprises - WISE).

სექტორული განმარტებები, როგორც წესი, ისეთ ქვეყნებშია დამკვიდრებული, რომლებშიც სოციალური მენარმეობის რეგულირება სოციალური ინკლუზიის წახალისების მიზნით ხდება. ევროკავშირის წევრი ქვეყნების შემთხვევაში, სოციალური საწარმო ხშირად ასოცირდება ე.წ. WISE ტიპის საწარმოებთან.

განმარტება	შინაარსი	მთავარი კრიტერიუმი	სოციალური საწარმოების განმარტების წყაროები			
ორგანიზაციული	სოციალური მენარმეობის, როგორც საჯარო ინტერესის გამტარებელი სამართლებრივი სუბიექტის, სპეციფიკური ბუნების აღწერა	სოციალური მიზნის პრიორიტეტი, სპეციფიკური შეზღუდვები მოგების განაწილებისა და მმართველობის ფორმის კუთხით	საერთაშორისო განმარტება	ეროვნული კანონმდებლობა	ეროვნული სტრატეგიები/ პროგრამები	სავაჭრო ნიშნები, სერტიფიკატები <sup>16</sup>
			British Council, ევროპის კვლევითი ქსელი (EMES), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), სოციალური სოლიდარობის ეკონომიკის კონტინენტური ქსელების კავშირი (RIPES)	ბელგია, ბულგარეთი, დანია, გერმანია, საბერძნეთი, საფრანგეთი, იტალია, ლატვია, ლუქსემბურგი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო	ხორვატია, დანია, საფრანგეთი, საბერძნეთი	ფინეთი, გერმანია, პოლონეთი, გაერთიანებული სამეფო
სექტორული	პოლიტიკური სტრატეგიებით გათვალისწინებული მიზნების აღსრულება (მაგ.: სოციალური ინკლუზია)	მონყვლადი ჯგუფებისა და შპმ პირების დასაქმების პრიორიტეტიზაცია	სოციალური ინტეგრაციის საწარმოთა ევროპული ქსელი (ENSIE)	ალბანეთი, ჩეხეთი, ფინეთი, შპმ უნგრეთი, სერბეთი	პოლონეთი	ავსტრია

16. სისტემა, რომლის ფარგლებშიც უფლებამოსილი ორგანო (ფინეთის შრომის ასოციაცია - ფინეთი, ფონდი FISE - პოლონეთი, WIRKT - გერმანია) პირის დასახელებაში, მის მიერ წარმოებული პროდუქტის ეტიკეტში სპეციალური ნოდების შეტანის ან სერტიფიკატის მინიჭების გზით მას სოციალურ საწარმოდ აღიარებს.

## **სოციალური მეწახმოება და გაეხოს მდგადი განვითარების მიზნები**

მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად არსებული დაფინანსების დეფიციტი ყოველწლიურად დაახლოებით 2,5 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს განვითარებად ქვეყნებში. ამ ნაპრაღის მხოლოდ განვითარებაზე მიმართული დახმარებით (გაეროს განვითარების პროგრამისა - UNDP და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის - UNCTAD დახმარება) შევსება შეუძლებელია. ამდენად, **კეიძო სექტორი გაეხოს მდგადი განვითარების მიზნების მიღწევის კუთხით მთავარი პაიგნიოხადაა მოაზიებული**. გაერო ასევე დიდ იმედებს ამყარებს სოციალური საწარმოების, როგორც ცვლილების აგენტების წვლილზე<sup>17</sup>. **მაგალითად, მხოლოდ 2016 წელს, სოციალური საწარმოების ბენეფიციართა ხაოღენობამ ევოპასა და ცენტრალური აზიის 9 ქვეყანაში 871 მიღიონი შეადგინა. სექტორმა 6 მიღიარედი ევოოს ღიხებუღების სეხვისებისა და პიოღუქების მიწოღება და ყვეღაზე მოწყვღადი სოციაღური ჯგუფებისათვის დამატებითი სამუშაო აღგიღების შექმნა შეღღო. 2016 წღისთვის ავსღღიღიაში სოციაღური საწარმოების წვღიღი მშპ-ს 2-3%-ს შეადგენღა და ქმნიღა 200 000 სამუშაო აღგიღს<sup>18</sup>.**

მდგრადი განვითარების მიზნებთან სოციალური საწარმოების კავშირის დასადგენად გაეროს რეგიონული აკადემიის წარმომადგენლებმა (RAUN), მსოფლიოს მასშტაბით შეისწავლეს 30 სოციალური საწარმო. კერძოდ, გაანალიზებულ იქნა გაეროს მდგრადი განვითარების რომელ მიზანს/მიზნებს ემსახურება სოციალური საწარმოების საქმიანობა. **შეღეღებმა აჩვენა, რომ ყვეღაზე მეღი საწარმოს (22) საქმიანობის ეღთ-ეღთი მიმარხთუღება „მდგადი წარმოებისა და მოხმარების“ მიზანს უკავშირეღება<sup>19</sup>, ხაც სოციაღური ბიზნესმოღედის ძიღითად პიინციპია. ყვეღაზე ნაკლები სოციალური საწარმოს (4) საქმიანობა უკავშირეღება მეღვიღმეღე მიზანს (პარტნიორობა მიზნების მისაღწევად). მათი ნანღიღი დაკავებუღია აღგიღობრივ თვიღმმართვეღობასთან თანამშრომღობით ცირკულარული ეკონომიკის წახალისების მიზნიღთ<sup>20</sup>.**


17. [http://www.ra-un.org/uploads/4/7/5/4/47544571/6\\_unido\\_the\\_role\\_of\\_social\\_entrepreneurship\\_as\\_a\\_key\\_driver\\_of\\_the\\_agenda\\_2030.pdf](http://www.ra-un.org/uploads/4/7/5/4/47544571/6_unido_the_role_of_social_entrepreneurship_as_a_key_driver_of_the_agenda_2030.pdf)

18. <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

19. სამგანზომიღებიანი მოღედღირების თანახმად (<https://www.un.org/ecosoc/en/sustainable-development>), იგუღისხმეღა ეკონომიკური, სოციაღური და გარემოსდაცვიღი მდგრადობის ურთიერთკავშირი

20. [http://www.ra-un.org/uploads/4/7/5/4/47544571/6\\_unido\\_the\\_role\\_of\\_social\\_entrepreneurship\\_as\\_a\\_key\\_driver\\_of\\_the\\_agenda\\_2030.pdf](http://www.ra-un.org/uploads/4/7/5/4/47544571/6_unido_the_role_of_social_entrepreneurship_as_a_key_driver_of_the_agenda_2030.pdf)

## მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზების სფეროში არსებული სოციალური საწარმოები (გაეროს რეგიონული აკადემიის (RA-UN) კვლევა)



დასკვნის სახით კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მენარმეობის განვითარება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისათვის უდიდესი მნიშვნელობის შეიძლება აღმოჩნდეს. ახლანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური კლიმატის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ რესურსების ეფექტიანი მობილიზება და დასაქმების წახალისება, რაც მდგრადი განვითარების მიზნების განუყოფელი ნაწილია, მოითხოვს ინოვაციურ მიდგომებს. სოციალურ მენარმეობას მდგრადი და ინკლუზიური შრომის ბაზრის შექმნის გზით აქვს პოტენციალი, ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

ამასთან, მიზანი 17.17 მხახს უჭეხს „ეფექტიან თანამშრომლობაზე საჯახო, კეხძო-საჯახო სექტორეხებსა და სამოქადაქო საზოგადოებას შოხის გამოცდილებისა და ხესუხსების მოზიდვის სგხაგეგიების გამოყენებით“. შესაბამისად, სოციალური საწარმოები საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოებისათვის წარმოადგენენ დამატებით პარტნიოროებს 2030 დღის წესრიგის შესასრულებლად.

## სოციალური სარჩომოების ზოგადი ეკოსისტემა

ეკოსისტემა, რომელშიც სოციალური სარჩომოები ვითარდება, მრავალი ურთიერთდაკავშირებული ელემენტისგან შედგება, რომლებიც პირობითად ოთხ მთავარ მიმართულებად შეიძლება დაიყოს, ესენია:

- **მოქალაქეთა თვითორგანიზების უნარი**, რაც ხელს უწყობს სოციალური სარჩომოების შექმნასა და მათზე მოთხოვნის წარმოქმნას;
- **სოციალური სარჩომოების ხილვადობისა და მათი აღიარების ხარისხი** სხვადასხვა დონეზე, დაწყებული პოლიტიკური და სამართლებრივი აღიარებით და დასრულებული თვითშეფასებით;
- **სხვადასხვა რესურსზე წვდომის ხარისხი**, რაც გამოიხატება როგორც დაარსებისა და კონსოლიდაციისათვის საჭირო რესურსებში, ისე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში, კრედიტებზე, საგადასახადო და ფისკალურ შეღავათებზე წვდომაში;
- **სოციალური მენარმეობის შესწავლის ხარისხი**, როგორც ამ სფეროში არსებული შედარებითი ანალიზებისა და კვლევის, ისე დაინტერესებული პირების სამენარმეო უნარების განვითარებაზე მიმართული აქტივობების (ფორმალური და არაფორმალური სწავლების შესაძლებლობები) კუთხით, რათა გაიზარდოს სოციალურ სარჩომოთა კონკურენტუნარიანობა საკუთარი ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად<sup>21</sup>.

აღნიშნული ოთხი მიმართულების უფრო დეტალიზებული ვერსია წარმოდგენილია ეკონომიკური თანამშრომლობისა (მენარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის, რეგიონებისა და ქალაქების ცენტრი) და ევროკომისიის (დასაქმების, სოციალურ საქმეთა და ინკლუზიის გენერალური დირექტორატის) ერთობლივ ინსტრუმენტში, რომელიც ცდილობს, გაზომოს პოლიტიკური ღონისძიებების ეფექტურობა შვიდი ძირითადი მიმართულების მიხედვით<sup>22</sup>.

**საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო** - ფორმალური აღიარების გარეშე, სოციალური სარჩომოების დიფერენცირება სხვებისგან შეიძლება გართულდეს. ამდენად, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო გულისხმობს როგორც სოციალური სარჩომოს განმარტების არსებობას კანონის დონეზე, ისე მის შესაქმნელად საჭირო ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივეს.

**ინსტიტუციური ჩარჩო** - აღნიშნულის ფარგლებში ფასდება სოციალური სარჩომოების განვითარების კუთხით სახელმწიფოს მიერ განული დახმარება, მათ შორის, შესაბამის სფეროში მაკოორდინირებელი ორგანოს არსებობის ფაქტი და სხვადასხვა უწყებას შორის კოორდინირების დონე. გარდა ამისა, ინსტიტუციური ჩარჩო გულისხმობს სოციალური მენარმეობის კუთხით არსებული სტრატეგიების არსებობას, რომლებიც შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობითაა შემუშავებული.

21. <https://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=en&catId=952&furtherNews=yes&newsId=9534>

22. <https://betterentrepreneurship.eu/en/node/add/social-quiz>

**სოციალური მენარმეობის კულტურა** - რომელიც ასახავს ადგილობრივ საქმიანობას, მათ შორის, პოლიტიკის შემუშავების დონეზე, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალურ ეკონომიკაში ჩართულ ორგანიზაციებთან მიმართებით. კერძოდ, მნიშვნელობა ენიჭება სოციალური მენარმეობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებს, მოქალაქეთა ინიციატივების სახელმწიფო მხარდაჭერის ხარისხს, საზოგადოების, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ცოდნასა და დამოკიდებულებას სოციალური მენარმეობის მიმართ. გარდა ამისა, ფასდება ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმწოდებლების მიერ სოციალურ მენარმეობასთან დაკავშირებული კურსების რაოდენობა და ხარისხი, ამ მიმართულებით უნივერსიტეტების მიერ ჩატარებული კვლევების რაოდენობა. დაბოლოს, სოციალური მენარმეობის კულტურის ელემენტი ის გარემოება, თუ რამდენად სისტემატიზებულია სტატისტიკური მონაცემების შეგროვება სოციალური საწარმოების შესახებ.

**წვდომა ფინანსებთან** - სოციალური მენარმეობის განვითარებისათვის ფინანსებზე წვდომა ცენტრალური მნიშვნელობისაა. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეფასდეს სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები სოციალური საწარმოებისათვის ფინანსურ ინსტრუმენტებზე წვდომის უზრუნველსაყოფად. ეკოსისტემის ეს ელემენტი ასევე გულისხმობს დაფინანსების მოპოვებაში სოციალური საწარმოების დამხმარე აგენტების არსებობას, დაფინანსების წყაროების მომწოდებლებთან ჩატარებული ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების ეფექტურობასა და სახელმწიფო დაფინანსების ხელმისაწვდომობას სოციალური მენარმეებისათვის.

**წვდომა ბაზარზე** - რამდენად აქვთ სოციალურ საწარმოებს წვდომა სახელმწიფო და კერძო ბაზარზე. ეკოსისტემის ეს ელემენტი მოიცავს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში სოციალური საწარმოების ჩართვის შესაძლებლობასა და იმას, თუ რამდენად იყენებენ სოციალური საწარმოები ტექნოლოგიებს კომერციული მიზნებით და ბაზარზე წვდომის მოსაპოვებლად, რამდენად აქვთ მათ ტრადიციულ საწარმოებთან პარტნიორობის რესურსი. სისტემური დახმარება უნარებისა და ბიზნესის განვითარების კუთხით - მენარმეებს, რომელთა მთავარი მოტივაცია სოციალური გავლენის მიღწევაა, ყოველთვის შეიძლება არ ჰქონდეთ ძლიერი ბიზნესმოდელის შემუშავებისათვის საჭირო უნარები. სწორედ ამიტომ, ეკოსისტემის ეს ელემენტი გულისხმობს დაინტერესებული პირებისათვის ტრენინგებზე, ქოუჩინგსა და მენტორინგზე წვდომის ხარისხს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. გარდა ამისა, ამ კუთხით ანალიზს ექვემდებარება ძლიერი ქსელების არსებობა, რომელთა ფარგლებშიც სოციალურ მენარმეებს ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლის თუ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ენიჭებათ.

**გავლენის მართვა, შეფასება/გაზომვა და ანგარიშგება** - სოციალური გავლენის მართვა, შეფასება და გაზომვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალური საწარმოებისათვის. თუმცა ის გარკვეულ დანახარჯებს შეიძლება უკავშირდებოდეს. სწორედ ამიტომ, ეკოსისტემის ამ ელემენტის ფარგლებში ფასდება სოციალური საწარმოებისა და ქოლგა ორგანიზაციების, ასევე სახელმწიფოს თანამშრომლობით ჩამოყალიბებული გავლენის გაზომვისა და ანგარიშგების ჩარჩო დოკუმენტების არსებობა და ხარისხი, შედეგების გამოყენება საჭარო პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში, სტანდარტების მნიშვნელობასთან დაკავშირებით ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების არსებობა.

ეკოსისტემის აღნიშნული ელემენტებისა და მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით,

შემდგომ თავებში დეტალურად არის მიმოხილული საქართველოში სოციალური მენარმეობის გარემო და მისი კომპონენტები. გარდა ამისა, განხილულია რელევანტური საერთაშორისო გამოცდილება, რომლის ადაპტაცია, სოციალური მენარმეობის ეკოსისტემის განვითარების მიზნით, შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობის აღმოჩნდეს.

## სოციალური მეწახმოება საქართველოში - ზოგადი მიმოხილვა და ჩატახებული კვლევის შედეგები

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ინტერესი სოციალური მენარმეობის მიმართ 1980-იანი წლებიდან იყო თვალშისაცემი<sup>23</sup>, საქართველოში ამ სფეროს განვითარება 2000-იანი წლების ბოლოდან დაიწყო. კერძოდ, 2010 წელს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, ევროპის ფონდისა და ბრიტანეთის საბჭოს ერთობლივი ძალისხმევით დაიწყო საქმიანობა სოციალური მენარმეობის განვითარების მიზნით<sup>24</sup>.


სოციალურ საწარმოებს აფუძნებს და სტარტაპიდეებს აფინანსებს ძირითადად, ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, ასევე, ზრუნავს დაინტერესებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაზე.

სწორედ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის აქტივობის შედეგად, ქვეყნის ფარგლებში თანდათანობით მკვიდრდება სოციალური მენარმეობის კონცეფცია.

სოციალურ საწარმოთა ალიანსის მონაცემებით, ამ ეტაპზე მოქმედებს 63 სოციალური საწარმო<sup>25</sup>.

### მათი საქმიანობის სფეროები განსხვავებულია:

#### საქართველოში მოქმედი სოციალურ საწარმოთა საქმიანობის სფერო



23. <https://www.degruyter.com/document/doi/10.1515/npf-2018-0046/html>


24. [https://www.civilin.org/pdf/Social\\_Enterprise\\_geo.pdf](https://www.civilin.org/pdf/Social_Enterprise_geo.pdf)

25. <http://seageorgia.ge/social-enterprises/all-enterprises>




წინამდებარე დოქუმენტის შემუშავების მიზნით გამოკითხულ სოციალურ სანარმოთა (გამოკითხვაში 38 სოციალური სანარმო მონაწილეობდა) დიდი ნაწილი (36,8%) 3-5 წელია, რაც საქმიანობს:

**საქართველოში მოქმედი სოციალური სანარმოები საქმიანობის ხანგრძლივობის მიხედვით**



გეოგრაფიული არეალის მიხედვით გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი (34,2%) თბილისშია თავმოყრილი; 18,4% - ქვემო ქართლში. ხოლო კახეთში გამოკითხულ სოციალურ სანარმოთა 15,8% ოპერირებს.

**სოციალური სანარმოების რეგიონალური განაწილება**






სოციალური სანარმოების მხოლოდ 28,9% საქმიანობს სოფლად.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სოციალურ სანარმოთა 68,4%-ის დასაქმებულთა რაოდენობა 5-დან 15 ადამიანამდეა.

### დასაქმებულთა რაოდენობა სოციალურ სანარმოებში



ამასთან, გამოკითხული სანარმოების მხოლოდ 21,1%-ს არ ჰყავს თანამშრომლებს შორის მონყვლადი თემების წევრები. მიუხედავად სოციალური სანარმოების წინაშე მდგარი ფინანსური გამოწვევებისა, სოციალურ სანარმოებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მათი სახელფასო პოლიტიკა საკმაოდ კონკურენტუნარიანია და ხშირ შემთხვევაში, აღემატება სექტორში არსებულ საშუალო ანაზღაურებას. გამოკითხული სანარმოების წარმომადგენლები აღნიშნულს ხსნიან სურვილით, ხელი შეუწყონ შესაბამის სექტორებში საშუალო ხელფასის მატებას და სოციალური მიზნის მიღწევის პროცესში დაიცვან თანამშრომელთა ინტერესები.

2020 წლის მონაცემებით<sup>26</sup>, საქართველოში მოქმედი სოციალური სანარმოების უმეტესობა დაფუძნებული იყო არასამეწარმეო იურიდიული პირის (72%) სახით.

**სამოქალაქო კოდექსის თანახმად, არასამეწარმეო იურიდიული პირის მიზანი კომერციული საქმიანობა და ფინანსური სარგებლის მიღება არ გახლავთ. მას შეუძლია კანონით შეზღუდვა ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. მათ შორის, მას აქვს უფლება, საქმიანობდეს დამხმარე ხასიათის სანარმოში, თუმცა მიღებული მოგება ხმარდება ა(ა)იპის სანესდებო, საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნების რეალიზებას და მისი განაწილება დივიდენდების სახით აკრძალულია.**

26. [https://www.civilin.org/pdf/Social\\_Enterprise\\_geo.pdf](https://www.civilin.org/pdf/Social_Enterprise_geo.pdf)

სოციალურ მენარმეთა ნანილი ოპერირებს შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (25%) სახით<sup>27</sup>.

**„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სამენარმეო იურიდიული პირია. მისი პასუხისმგებლობა კრედიტორთა მიმართ მხოლოდ შპს-სავე ქონებით შემოიფარგლება. მისი მართვის, სტრუქტურის, ორგანიზაციული მონყობის, შპს-ს პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და ნილების თავდაპირველი განანილების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით.**

ა(ა)იპებისა და შპს-დ რეგისტრაციის გადაწყვეტილება შეიძლება აიხსნას ა(ა)იპ-სა და შპს-ს რეგისტრაციის, მართვისა და მონყობის სისტემების სიმარტივითა და მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურით. კერძოდ, **ა(ა)იპებდ ჰეგისგხაციის გადაწყვეტილება შეიძლება ჰამდენიმე ფაქტორით იყოს განიხობებულ:**

- ქვეყანაში სოციალური მენარმეობის კულტურის სიახლის გამო შეიძლება მიიჩნეოდეს, რომ სოციალური მიზნების განხორციელება სწორედ არასამენარმეო იურიდიული პირის საშუალებით შეიძლება.
- წვდომა საგადასახადო შეღავათებზე სოციალური ხარჯების გალებისა და საქველმოქმედო საქმიანობის წარმოების შემთხვევაში (გრანტის ფარგლებში). სოციალური საწარმეობის ნანილი სწორედ ა(ა)იპ-ების მიერაა შექმნილი, როგორც საკუთარი წესდებით გათვალისწინებული მიზნების (როგორც წესი, სოციალური გამოწვევების მოგვარება) მიღწევის ინოვაციური შესაძლებლობა. ბიზნესმოდელის შემუშავება და პირველი ეტაპი სწორედ „მშობელი“ ა(ა)იპ-ის მიერ ხორციელდება. მდგრადობის გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ, რიგ შემთხვევებში, ა(ა)იპ-ების მიერ შექმნილი სოციალური საწარმო შეიძლება ცალკე, სამენარმეო იურიდიული პირის სახით დარეგისტრირდეს<sup>28</sup>.
- სოციალური მენარმეობის სფეროს მხარდამჭერი ორგანიზაციები, პარტნიორები და პროგრამები, სოციალური საწარმოს საკანონმდებლო განმარტების არარსებობის გამო უპირატესობას სწორედ ა(ა)იპ-ებს, როგორც სოციალურ მიზნებზე ორიენტირებულ პირებს, ანიჭებენ<sup>29</sup>, ან არ აქვთ გამოკვეთილი მოთხოვნები იურიდიული სტატუსის მიმართ. აღნიშნული აიხსნება სოციალური მენარმეობის სამართლებრივად განსაზღვრული სტატუსის არარსებობითა და იმ გარემოებით, რომ დონორი ორგანიზაციებისათვის ა(ა)იპ-ის სახით რეგისტრირებულ სოციალურ საწარმეობთან თანამშრომლობა მეტად მისაღებია იმის გამო, რომ გრანტის გამცემ პირებს გრანტის ფარგლებში გაცემულ თანხაზე დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნება შეუძლიათ.

27. მხოლოდ 3%-ს შეადგენს კოოპერატივების ან ინდივიდუალური მენარმეების სახით მოქმედი სოციალური საწარმეობი.

28. [https://www.civilin.org/pdf/Social\\_Enterprise\\_geo.pdf](https://www.civilin.org/pdf/Social_Enterprise_geo.pdf)

29. [https://www.civilin.org/pdf/Social\\_Enterprise\\_geo.pdf](https://www.civilin.org/pdf/Social_Enterprise_geo.pdf)

**ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ნაკლოვანებად მიიჩნევა ის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით ა(ა)იპ-ისთვის არ არის გათვალისწინებული შეღავათები მოგების რეინვესტირების შემთხვევაში და დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისას. იურიდიული ფორმის გათვალისწინებით, აღნიშნულ ორგანიზაციებს ფინანსური ინსტიტუტებისა თუ ინვესტორთათვის ნაკლები გარანტიის შეთავაზება შეუძლიათ და მათი სამეწარმეო საქმიანობის გამოცდილებაც შეზღუდულია - ეს აისახება კრედიტებსა (მათ შორის, იაფ კრედიტზე) და საინვესტიციო შესაძლებლობებზე მათი წვდომის ნაკლებობით. ფინანსურ რესურსებზე წვდომის ამგვარი ნაკლებობა ინვესტ მუქ დამოკიდებულებას საგრანტო პროგრამებზე.**

მეორე მხრივ, **სამეწახმოო იურიდიულ პიხად ჰევისტაციას შემდეგი უპიხატესობები აქვს:**

- ფინანსური გარანტიების შეთავაზების შესაძლებლობა კრედიტორებისა და ინვესტორთათვის, რაც შპს-ს უფრო მრავალფეროვან ფინანსურ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობას აძლევს;
- საგადასახადო შეღავათები ეკონომიკურ საქმიანობაში მოგების რეინვესტირების შემთხვევაში;
- მდგრადი ბიზნესმოდელის შემუშავებისა და მართვისათვის საჭირო უნარები;
- ბუღალტერიის წარმოების და საგადასახადო ტვირთის გამოთვლის სიმარტივე;

**თუმცა, შპს-დ ჰევისტაციის შემთხვევაში, „გჩანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მეოთხე მუხლის თანახმად, სოციალური საწახმოობის უზღუდობათ წვდომა იმ საგჩანტო პიხოგჩამებზე, ხომლებიც სოციალური მეწახმოობის განვითაჰებას ემსახუჰება. გაჰდა ამისა, საგადასახადო კოდექსის თანახმად, სამეწახმოო იურიდიული პიხის მიეჰ გაწეული ხაჰჯი, ხომლებიც ეკონომიკური საქმიანობას აჰ უკავშირება (სოციალური ხაჰჯები), იბეგება მოგების გადასახადით, შესაბამისად, შპს-ს სახით ჰევისტაციეული სოციალური საწახმოობი ვეჰ საჰგებდობენ იმ საგადასახადო შეღავათებით, ხომლებიც გჩანტებთანაა ასოციეებული ან სხვადასხვა სოციალური მიზნების შესჰუდებისთვისაა გამიზნული (საგადასახადო კოდექსი, მუხლი 98<sup>2</sup>).**

დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ა(ა)იპ-სა და შპს-ს რეგისტრაციის სიმარტივის, მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურის, მართვისა და მოწყობის სისტემებისა, სრულყოფილად ვერცერთი არსებული ფორმა ვერ უზრუნველყოფს სოციალური მეწარმეობის იდეის სრულყოფას.

საქართველოს მსგავსად, ავსტრალიაში, პოლონეთში, ლიტვასა და სლოვენიაში, ასევე, არ არსებობს სპეციალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სოციალური საწარმოებისათვის. მიუხედავად ამისა, ლიტვის კანონმდებლობა (კანონი სოციალური საწარმოების შესახებ) განმარტავს სოციალურ საწარმოს, როგორც მოწყვლადი ფენის წარმომადგენლებისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე ორიენტირებულ ერთეულს. სოციალური საწარმოს სტატუსის მოსაპოვებლად, ერთეულის სადამფუძნებლო დოკუმენტებში ცალსახად უნდა იყოს განერილი ბენეფიციართა დასაქმების ან მათი სოციალური ინტეგრაციის მიზანი და არ უნდა საქმიანობდეს სოციალური საწარმოებისათვის აკრძალული მიმართულებით. ასეთი სტატუსის მქონე საწარმოებს (შრომითი ინტეგრაციის სოციალური

სანარმო (WISE)) ორგანიზაციებს საშუალება აქვთ, მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება და სხვა სარგებელი, მათ შორის, საგადასახადო შეღავათები.

2004 წლიდან დიდ ბრიტანეთში მოქმედებს იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა Community Interest Company ("CIC"), რომელიც თავდაპირველად საქველმოქმედო ორგანიზაციებს სამენარმოო საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობას აძლევდა, ხოლო ამჟამად, მხოლოდ სოციალური სანარმოების მიერ გამოიყენება<sup>30</sup>. CIC-ის აქვს ტრადიციული კომპანიის მსგავსი სტრუქტურა, მაგრამ დადგენილია აქტივების ზღვარი და დივიდენდების განაწილების ლიმიტი. კერძოდ, ამ ტიპის ორგანიზაციებში მოგების მხოლოდ 35%-ის განაწილებაა შესაძლებელი დივიდენდების სახით<sup>31</sup>. CIC სტრუქტურა საინტერესოა სოციალურად პასუხისმგებლობიანი კრედიტორებისა თუ ინვესტორთათვის, მით უმეტეს, რომ სუბიექტები, რომლებიც ამ ტიპის ორგანიზაციაში ინვესტირებას ახორციელებენ, სარგებლობენ შესაბამისი საგადასახადო შეღავათებით.

კანადის რიგ პროვინციებში მოქმედებს სპეციალური სამართლებრივი ფორმა, რომელიც სოციალური მისიის საქმიანობაში ინტეგრირებაზე აკეთებს აქცენტს და CIC პრინციპს ეყრდნობა. აღნიშნული სამართლებრივი ფორმა სოციალური მისიის ბიზნესსაქმიანობით მიღწევის საშუალებას იძლევა<sup>32</sup>. ეს ქარბი მოგების სოციალურ ინტერესზე მიმართვით, დივიდენდებისა და კაპიტალის განაწილების მკაცრი შეზღუდვით მიიღწევა.

## სოციალური მეწახმეობის კუდგუხა

სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარება მოქალაქეთა ჯგუფების სოციალური და სამოქალაქო მოძრაობითაა განპირობებული, მოქალაქეთა ინიცირებული პროექტების ფარგლებში იქმნება და ხშირად მოხალისეობრივ საწყისებზეა დაფუძნებული. ასეთი ჯგუფების განკარგულებაში შეზღუდული რესურსებია და სოციალური სანარმოს შექმნის მთავარი მოტივაციაა გადაუჭრელი გამოწვევები ადგილობრივ დონეზე, მათ შორის, სხვადასხვა სოციალურ მომსახურებასა თუ განათლებაზე შეზღუდული წვდომა, სამუშაო ბაზარზე საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრირება და ა.შ.

ადგილობრივ კონტექსტში არსებულ საჭიროებებზე პასუხად სოციალური სანარმოების შექმნის, განვითარებისა და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა აქტივიზმის დონეს, სოლიდარობის შეგრძნებასა და მოხალისეობრივი პრინციპების გაცნობიერებას. მაგალითად, ბულგარეთში, ჩეხეთში, ესტონეთში, უნგრეთსა და იტალიის სამხრეთ რეგიონებში ნდობის, სოციალური შეგნებისა და აქტივიზმის დონის სიმცირის გამო სოციალური მეწარმეობის განვითარებას მნიშვნელოვანი საფრთხე ექმნება. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული დატვირთვა მოდის მეორე დონის ორგანიზაციებზე (კოალიციები, ასოციაციები), რომლებიც სოციალური სანარმოების

30. Doeringer, MF. სოციალური სანარმოს გაძლიერება: ისტორიული და საერთაშორისო ანალიზი. იბ. წყარო: <http://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1052&context=djcl>.

31. სამაგიდე კვლევა საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური სანარმოების განვითარების მხარდაჭერი მექანიზმების შესახებ გვ. 110

32. <http://www.fin.gov.bc.ca/prs/cccl/>

განვითარებას, გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის ცნობიერების ამაღლებასა და საკანონმდებლო ინიციატივების თუ პოლიტიკის ლობირებას უწყობენ ხელს (ხორვატია, ჩეხეთი, იტალია). სოციალურ საწარმოთა და აქტიურ მოქალაქეთა ქსელები წარმოადგენს ურთიერთმხარდაჭერის მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს სოციალური მენარმეობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ზრდას, სოციალური საწარმოს სერტიფიკატების/სავაჭრო ნიშნების მინიჭებას, პოლიტიკის შექმნაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, განგრძობით სწავლასა და საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. კოალიციების მიერ შეთავაზებული მხარდაჭერა მოიცავს როგორც სამუშაო სივრცეებსა და დამატებით ფინანსურ ინსტრუმენტებს, ისე სოციალური საწარმოების ხილვადობის ზრდაში დახმარებასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების შესაძლებლობებს. ქვეყნების ნაწილში მსგავსი ქსელები წარმომადგენლობით, ლობირებისა და კოორდინირების ფუნქციებსაც ასრულებს (ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, იტალია, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო).

ამდენად, სოციალური თუ სამოქალაქო აქტივიზმის დონესთან ერთად, სოციალური მენარმეობის კულტურის დანერგვაში კოალიციებსა და ქსელებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ქვეყნებში, რომლებშიც მსგავსი ქსელები სუსტი ან ნაკლებად განვითარებულია, შეიმჩნევა სოციალური საწარმოების ნელი პროგრესი (კვიპროსი, მალტა). რეგიონული ქსელების შექმნასთან ერთად, რომლებიც ქვეყნის კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში მოქმედ სოციალურ საწარმოებს აერთიანებენ, მნიშვნელოვანია სექტორებზე ფოკუსირებული სოციალური საწარმოების კოალიციების მუშაობაც, რომელთა ფარგლებშიც მსგავსი ინტერესებისა და გამოცდილების მქონე საწარმოები თანამშრომლობენ.

სოციალური საწარმოებისა და მათი მხარდამჭერი კოალიციების შექმნის აუცილებელ წინაპირობას მეტ-ნაკლებად ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს. საზოგადოებისა და სამოქალაქო თვითშეგნების განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის აქტიურობა, მათ შორის, ცნობიერების ამაღლების კუთხით (მაგ.: „სოციალური ბიზნესის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიებები ავსტრიაში).

საქართველოს შემთხვევაში, სოციალურ მენარმეობასთან დაკავშირებული კულტურის დონის შესაფასებლად, მიზანშეწონილია განისაზღვროს მოქალაქეების აქტიურობის დონე საჯარო სივრცეში. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების (2019)<sup>33</sup> შედეგებისა და საქართველოს დემოკრატიულობის ინდექსის გათვალისწინება. ორივე მაჩვენებლის მიხედვით, მოქალაქეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ზრდის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდთა აქტივიზმი სხვადასხვა შემაფერხებელი გარემოების (მუნიციპალურ და ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ პირთა რიგიდულობა, ეფექტიანად ჩართონ მოქალაქეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, პროაქტიულად გამოაქვეყნონ საჯარო ინფორმაცია, ხელი შეუწყონ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას) გათვალისწინებით, შედარებით ნელა ვითარდება. ამ შემთხვევაში, მოქალაქეებს შორის სამოქალაქო აქტივიზმისა და პასუხგაუცემელი სოციალური პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული


33. [http://www.lsgindex.org/uploadimages/adm\\_folder/LSGINDEX\\_Report\\_GEO\\_WEB\\_final.pdf](http://www.lsgindex.org/uploadimages/adm_folder/LSGINDEX_Report_GEO_WEB_final.pdf)



გზების ძიების გაძლიერების კუთხით, მთავარ აქტორებს საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ. კერძოდ, მათი ხელშეწყობით მალღდება როგორც მოქალაქეობრივი თვითშეგნება, ისე სამოქალაქო ინიციატივების ფორმირება და იმპლემენტაციისათვის საჭირო თანხების მობილიზება. დასახელებული ორი მიმართულება, გრძელვადიან პერსპექტივაში, ინდივიდებისა და ჯგუფების სოციალური მენარმეობით დაინტერესების ერთ-ერთ წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში განხილული სხვადასხვა ნაბიჯის შედეგად სოციალური მენარმეობის მიმართ ინტერესი მზარდია (სხვადასხვა დროს სოციალურ საწარმოებად იდენტიფიცირდებოდა 100-მდე ორგანიზაცია. ამჟამად მათი რაოდენობა 63-ს შეადგენს), ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საკანონმდებლო ბაზასა და ბიზნეს უნარებთან დაკავშირებული გამოწვევების გათვალისწინებით, სოციალური საწარმოების მდგრადობა შედარებით მყიდუა. ზემოთ დასახელებულ გამოწვევებს ამძიმებს ფართო საზოგადოების დამოკიდებულებაც საწარმოების მიმართ. გამოკითხული 38 საწარმოს 24% მიუთითებს, რომ საზოგადოებაში სოციალურ მენარმეობასთან დაკავშირებული ცნობიერება საკმაოდ დაბალია.

1-დან 5-მდე შკალაზე შეაფასეთ, თქვენი თემის/საზოგადოების წევრების ცოდნა სოციალური მენარმეობის შესახებ? (1 - არაფერი სმენიათ სოციალური საწარმოს შესახებ; 5 - საკმაოდ კარგად იციან სოციალური საწარმოს არსის შესახებ)

38 responses




გარდა ამისა, სოციალურ მენარმეობთან ჩატარებულმა ინტერვიუმ აჩვენა, რომ საზოგადოების წევრები, რიგ შემთხვევებში, ამ ტიპის მენარმეობას საქველმოქმედო საქმიანობასთან აიგივებენ და კონკრეტული პროდუქტის თუ სერვისის მიღება უფასოდ სურთ. გარდა ამისა, სოციალური საწარმოების საქმიანობის მნიშვნელობის არცოდნა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელს უშლის შედარებით ძვირადღირებული და/ან განსხვავებული ხარისხის პროდუქტის/სერვისის რეალიზებას და აიძულებს მენარმეების ნაწილს, ფოკუსირდნენ მოსახლეობის მცირე ჯგუფზე (ტურისტები, ახალგაზრდები), რომელთაც, ბიზნესის წახალისებასთან ერთად, სურთ საკუთარი წვლილი შეიტანონ სოციალური და/ან ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში და პროდუქტის თუ სერვისის მომწოდებლის შერჩევას, ხარისხთან ერთად, საწარმოს სოციალური პასუხისმგებლობის დონეზე ამხვილებენ ყურადღებას.

სწორედ ამით აიხსნება გამოკითხვაში მონაწილე სოციალურ მენარმეთა უდიდესი ნაწილის (73,7%) სურვილი, დაიგეგმოს შესაბამისი ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები.

1-დან 5-მდე შკალაზე შეაფასეთ, რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: "სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარებისა და გაყიდვების გაზრდისათვის აუცილებელია სოციალური მეწარმეობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება" (1 - საერთოდ არ ეთანხმებით; 5 - სრულიად ეთანხმებით)

38 responses



რაც შეეხება სოციალური მეწარმეების დამოკიდებულებას საკუთარი საქმიანობის მიმართ, გამოკითხვამ აჩვენა, რომ სოციალური მეწარმეების ნაწილი ვერ ახერხებს ბიზნესპრინციპების სრულფასოვან ინტეგრირებას საკუთარ საქმიანობაში. გამოკითხულ მეწარმეთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ სფეროს საკანონმდებლო რეგულირების შემთხვევაში, მათ შეიძლება ვერ დააკმაყოფილონ სოციალური მეწარმეობის სტანდარტი და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ტრადიციულ ბიზნეს სანარმოდ შეიძლება კლასიფიცირდნენ. აღნიშნული მიგნება საკმაოდ საინტერესოა იმის გათვალისწინებით, რომ ყველა გამოკითხული სანარმო აკმაყოფილებს ჩვენ მიერ ნაშრომის შესავალში დასახელებულ, სოციალური სანარმოებისათვის დადგენილ კრიტერიუმებს (განსაზღვრული სოციალური მიზანი, მოგების უდიდესი ნაწილის რეინვესტირება წარმოებაში, ანგარიშვალდებულება და მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესი). აღნიშნული ორივე მაგალითი მიუთითებს სოციალური მეწარმეების თვითიდენტიფიკაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. ერთიანი განმარტების, სოციალური სანარმოების მიერ საკუთარი პოზიციონირებისთვის საჭირო უნარების ნაკლებობა თუ სოციალური მეწარმეობის ძირითად მახასიათებლებზე შეთანხმების არარსებობა განაპირობებს იმასაც, რომ მხარდამჭერ ორგანიზაციებს შორის არ არსებობს ერთიანი მიდგომა სოციალური მეწარმეობის საჭიროების, მისი დამატებითი ღირებულებისა და არსებითი მახასიათებლების შესახებ. კერძოდ, მეწარმეობისა და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის მხარდამჭერ ორგანიზაციათა ნაწილი საერთოდ ვერ ხედავს სოციალური მეწარმეობის საჭიროებას საქართველოში მოცემულ ეტაპზე და მიაჩნია, რომ სოციალური მდგრადობის მქონე ტრადიციული სანარმოების საქმიანობით ბევრად უფრო ხარისხიანად და ხარჯეფექტურადაა შესაძლებელი სოციალური მიზნის მიღწევა. მეორე ნაწილის მიერ სპეციფიკურად სოციალური მეწარმეებისათვის განკუთვნილ მხარდამჭერ პროგრამებში ასევე სხვადასხვაგვარადაა განმარტებული სოციალური მეწარმეობის რაობა, შესაბამისად, განსხვავდება ის კრიტერიუმები, რომლებსაც პროგრამებში მონაწილე სუბიექტები უნდა აკმაყოფილებდნენ. მეტიც, ერთი და იმავე ორგანიზაციების მიერ შექმნილი, სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერაზე ორიენტირებულ პროგრამებში ჩამოყალიბებული მოთხოვნები თუ კრიტერიუმები დროთა განმავლობაში მოდიფიცირდება იმგვარად, რომ სოციალური სანარმოების ნაწილი ან ვეღარ აკმაყოფილებს მონაწილეობისათვის დადგენილ



კრიტერიუმს, ან ნაკლებად კონკურენტული ხდება. იქიდან გამომდინარე, რომ დამწყები და/ან დაბალშემოსავლიანი სოციალური საწარმოები (განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ა(ა)იპ-ის ფორმითაა რეგისტრირებული), დიდ წილად მოქმედი/პოტენციური დონორების ინტერესებისა თუ მოთხოვნების დაკმაყოფილებას ცდილობს. ცვლადი გარემო და სტაბილური ხედვისა თუ სტანდარტების არარსებობა კი ასეთ სოციალურ საწარმოებს აიძულებს, მოერგონ დონორთა მოთხოვნებს - ეს უარყოფითად აისახება მათ ბიზნესმოდელზე, საკუთარი თავის აღქმაზე და საბოლოო ჯამში, სტაბილურობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გადაიდგას ნაბიჯები, რათა თავად სოციალურ მეწარმეებს შორის გაჩნდეს ერთიანი მიდგომა სფეროს არსთან დაკავშირებით, რაც მის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

სოციალური მეწარმეობის კულტურის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარებაში სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო დონორების მიერ შეტანილი წვლილი.

ამ სფეროში არსებულ აქტორთა შორის აღსანიშნავია „სოციალური მეწარმეობის ცენტრი“, რომელსაც მართავს „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (CSR DG). ცენტრი საქმიანობს სოციალური საწარმოების მხარდაჭერის მიმართულებით საგრანტო კონკურსების, ორგანიზაციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ და საკანონმდებლო საკითხებზე პერიოდული კონსულტაციებისა და ტრენინგების ორგანიზების გზით<sup>34</sup>. გარდა ამისა, სოციალურ საწარმოთა სუსტად განვითარებული ქსელის საპირწონედ, მეწარმეთა შორის გამოცდილებისა და ცოდნის ურთიერთგაზიარების მიზნით 2016 წელს შეიქმნა „სოციალურ საწარმოთა ალიანსი“, რომელიც ამ ეტაპზე 35-მდე სოციალურ საწარმოს აერთიანებს<sup>35</sup>. ალიანსი საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ეკოსისტემის ჩამოყალიბებასა და სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად<sup>36</sup>.

გარდა ამისა, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2010 წლიდან სოციალურ მეწარმეებს სთავაზობს მხარდაჭერის მრავალფეროვან ინსტრუმენტებს ტრენინგების, კონსულტაციების, ცნობიერების ამაღლების, ფინანსური დახმარების, სახელმწიფო დონეზე სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ლობირების გზით<sup>37</sup>.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), ასევე, ერთ-ერთი მხარდამჭერი ორგანიზაცია, სოციალური მეწარმეობის განვითარებას ხელს უწყობს იურიდიული კონსულტაციის განწევისა და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებული ლობირების გზით<sup>38</sup>.

34. <http://segeorgia.org/>

35. <http://seageorgia.ge/social-enterprises/alliance-members>

36. <http://seageorgia.ge/about-us>

37. <https://gcsd.org.ge/>

38. <https://civilin.org/?fbclid=IwAR2Y3WBAn9pJjq-CwTQKwO5jvTOUEJIhk1K-0Vllg2myijbDPBg4w7YEFk>

## **საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩაჩრო**

არაერთი მცდელობის მიუხედავად, საქართველოში დღემდე არ არსებობს სოციალური საწარმოს დეფინიცია საკანონმდებლო დონეზე და შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობა. გარდა ამისა, არსებული ეროვნული და ადგილობრივი ნორმატიული აქტები ამ დრომდე არ განმარტავს სოციალური საწარმოს არსს. სამართლებრივი რეგულირების გარეშე სექტორის განვითარებას საფრთხე ექმნება.

ამ ეტაპზე შეუძლებელია სოციალური საწარმოების დიფერენცირება სხვა საწარმოების თუ არასამეწარმეო იურიდიული პირებისაგან, რომლებიც საქმიანობენ საწესდებო მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, შეუძლებელია სექტორისა და სოციალურ საწარმოთა საზოგადოებრივი გავლენის შეფასება და შესაბამისი სტატისტიკის წარმოება. ამასთან, სოციალურ საწარმოებს, მათი სტატუსის არარსებობის გამო, საკმაოდ ურთულდებათ წვდომა ფინანსებზე. კერძოდ, სოციალური საწარმოს სამართლებრივი სტატუსის არარსებობის პირობებში ამ საქმიანობაში ჩართულ პირებს უწევთ რეგისტრაცია სამეწარმეო იურიდიულ პირებად (როგორც ზემოთ აღინიშნა, სოციალურ საწარმოთა ნაწილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კოოპერატივის ან ინდივიდუალური მეწარმის ფორმითაა რეგისტრირებული) ან არასამეწარმეო იურიდიულ პირებად.

როგორც წინა თავებში აღინიშნა, სამეწარმეო იურიდიულ პირად რეგისტრირების შემთხვევაში, საწარმოებს ეზღუდებათ წვდომა საგრანტო პროგრამებზე. გარდა ამისა, საგადასახადო კოდექსის თანახმად, სამეწარმეო იურიდიული პირის მიერ გაწეული ხარჯი, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას არ უკავშირდება (სოციალური ხარჯები), იბეგრება მოგების გადასახადით, შესაბამისად, შპს-ს სახით რეგისტრირებული სოციალური საწარმოები ვერ სარგებლობენ იმ საგადასახადო შეღავათებით, რომელიც სხვადასხვა სოციალური მიზნის შესრულებისთვისაა გამიზნული (საგადასახადო კოდექსი, მუხლი 98<sup>2</sup>). სოციალური საწარმოს არასამეწარმეო იურიდიულ პირად რეგისტრაციის შემთხვევაში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ განიხილება შემოსავალზე ორიენტირებულ ორგანიზაციად, სოციალური საწარმო ვერ სთავაზობს კრედიტორებს საკმარის გარანტიებს და შესაბამისად, მისი წვდომა კრედიტსა თუ ინვესტიციებზე მნიშვნელოვნადაა შეზღუდული. არასამეწარმეო იურიდიული პირების შემთხვევაში იკრძალება დივიდენდის განაწილება, შესაბამისად, მოგების რეინვესტირების შემთხვევაში ა(ა)იპ ვერ სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით, რომლებიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით სამეწარმეო იურიდიული პირებისთვისაა გათვალისწინებული (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 981).

გარდა ამისა, შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობა მნიშვნელოვნად ართულებს სოციალურ მეწარმეთა საჭიროებების დანახვას სახელმწიფო თუ მუნიციპალური სამსახურების მიერ. გამოწვევა საჭიროებების დანახვისა თუ მათი დაკმაყოფილების კუთხით აძნელებს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის ეფექტიანი ხელშეწყობი მექანიზმების დაგეგმვასა და განხორციელებას. სოციალური მეწარმეობის განმარტებისა და ხედვის კუთხით ერთიანი მიდგომის არარსებობა ართულებს სწორი კრიტერიუმების შემუშავებას იმ მწირ სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში, რომლებიც უშუალოდ სოციალური საწარმოებისთვისაა განკუთვნილი.

სოციალური სანარმობის საქმიანობის საკანონმდებლო დონეზე აღიარების გარეშე სავმოდ გართულებულია მათ მიერ შექმნილი სოციალური სარგებლის შეფასება, მით უმეტეს, რომ სანარმოთა უდიდეს ნაწილს, შეზღუდული რესურსებისა და ცოდნის ნაკლებობის გათვალისწინებით, არ გააჩნია შიდა მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა, განესაზღვრა და შეეფასებინა საქმიანობის სოციალური ეფექტი ადგილობრივ თემზე.

აღნიშნული გამოწვევები, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე სოციალური სანარმობის განმარტებისა და მათზე მორგებული რეგულაციების არარსებობითაა განპირობებული, აფერხებს სოციალური მენარმეობის სფეროს განვითარებას და სანარმეობის მდგრადობასაც ეჭვქვეშ აყენებს.

სწორედ ამ გამოწვევების დასაძლევად 2015 წლიდან შემუშავდა რამდენიმე კანონპროექტი სოციალური მენარმეობის რეგულირების მიზნით. კერძოდ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ (CSR DG), სოციალური მენარმეების ჩართულობით, მომზადებული კანონპროექტი წარედგინა საქართველოს პარლამენტს. კანონპროექტი სოციალურ მენარმეობას განმარტავდა, როგორც „ორგანიზებული სამენარმეო საქმიანობა სოციალური ზრუნვის, სოციალური ადაპტაციის, სიღარიბის შემცირებისა და დაძლევის, საზოგადოების მონყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვის სფეროებში, რომლის მიზანი არ არის უპირატესად მოგების მიღება და პარტნიოროთა, მეპაიეთა ან აქციონერთა შორის განაწილება“<sup>39</sup>. ამავე კანონპროექტის თანახმად, სოციალური სანარმოს მახასიათებლებად შემდეგი კომპონენტები მოიაზრებოდა:

- შექმნილია სოციალური მიზნების მისაღწევად სოციალური ზრუნვის, სოციალური ადაპტაციის, სიღარიბის შემცირებისა და დაძლევის, საზოგადოების მონყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვის სფეროებში;
- ეწევა სამენარმეო საქმიანობას და მისი შემოსავლების დიდ ნაწილს შეადგენს სამენარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები;
- მოგების არანაკლებ 70%-ის რეინვესტირებას ახორციელებს წესდებით გათვალისწინებული სოციალური მიზნების მიღწევისათვის წარმოებულ საქმიანობაში;
- იმართება დემოკრატიული პრინციპების დაცვით, წესდებისა და სანესდებო მიზნების ცვლილება დასაშვებია ხმათა არანაკლებ 80%-ის უმრავლესობით;
- პირდაპირ ან არაპირდაპირ არ არის დაკავშირებული, არც დაქვემდებარებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს.”

გარდა ამისა, ა(ა)იპ „ფონდი ტასოს“ მიერ მომზადებული „ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, სოციალური მენარმეობა განიმარტებოდა, როგორც „სამოქალაქო საზოგადოების

39. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/132460>

ორგანიზაციის დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა, რომლის მოგება ორგანიზაციის წესდებით გაცხადებული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, ორგანიზაციის ფილანთროპიულ ან/და საქველმოქმედო საქმიანობას ხმარდება<sup>40</sup>.” „საქართველოს უსინათლოთა კავშირის“ მიერ მომზადებული მესამე კანონპროექტი ითვალისწინებდა ცვლილების შეტანას საქართველოს „მენარმეთა შესახებ კანონში“ ტერმინების „სოციალური სანარმო“ და „სოციალური კოოპერატივი“ დამატების გზით<sup>41</sup>.

2018 წელს მომზადდა კანონპროექტი „სოციალური მენარმეობის შესახებ“, რომელიც პარლამენტის წევრთა მიერ იყო ინიცირებული და სოციალური მენარმეობის ინსტიტუციონალიზაციისა და სოციალური მენარმეობის განვითარების მხარდაჭერის სამართლებრივი საფუძვლების შექმნას ისახავდა მიზნად.

პროექტი განმარტავდა სოციალურ მენარმეობას, როგორც სამენარმეო საქმიანობას, რომელიც ემსახურება სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფას, მონყვლადი ჯგუფების დასაქმებას, აგრეთვე, სოციალური მიზნების მიღწევას განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და გარემოს დაცვის სფეროებში. კანონპროექტი ასევე ადგენდა სოციალური სანარმოს მინიჭების სტანდარტსა და ამ სტატუსის მიღებაზე უფლებამოსილი იურიდიული პირების სახეებს:

- (ა)იპი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი, რომლებიც შეიქმნა სოციალური თანასწორობის ხელშესაწყობად, მონყვლადი ჯგუფების დასაქმებისთვის ან სოციალური მიზნების მისაღწევად განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და გარემოს დაცვის სფეროებში, დაკავებულია სამენარმეო საქმიანობით და მისი შემოსავლების დიდ ნაწილს შეადგენს აღნიშნული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები;
- სანარმო, რომელიც მოგების არანაკლებ 70%-ის რეინვესტირებას ახორციელებს წესდებით გათვალისწინებული სოციალური მიზნების მიღწევისათვის წარმოებულ საქმიანობაში;
- სანარმო, რომელიც იმართება დემოკრატიული პრინციპების დაცვით და წესდების, ასევე საწესდებო მიზნების, ცვლილება დასაშვებია ხმათა არანაკლებ 80%-ის უმრავლესობით;
- სანარმო, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არ არის დაკავშირებული ან დაქვემდებარებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე.

კანონპროექტს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. კერძოდ, საკმაოდ პრობლემური იყო მე-3 მუხლი, რომელიც სოციალური სანარმოს შექმნას მხოლოდ მონყვლადი ჯგუფების დასაქმებისათვის, ანდა განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის და გარემოს დაცვის სფეროებში მიიჩნევა დასაშვებად. იმ პირობებში, რომ საქართველოს

40. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/122188>

41. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/132911>

42. „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ.“

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს „მონყვლადი ჯგუფების“ დეფინიციას, მნიშვნელოვანია განიშარტოს, თუ ვინ ჩაითვლებოდა მონყვლად ჯგუფებად სოციალური საწარმოს მიზნებისათვის. გარდა ამისა, სფეროების ამგვარი შეზღუდვა ამცირებდა დაინტერესებული პირების შესაძლებლობას, სხვა მიმართულებით დაეფუძნებინათ სოციალური საწარმო. გარდა ამისა, ამგვარმა ლიმიტირებამ შეიძლება შეზღუდოს სოციალური მენარმეობის მიმართულებით ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის პირველი მუხლი ითვალისწინებდა სოციალური საწარმეობის საქმიანობის მონიტორინგთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონესრიგებას, პროექტი არ განსაზღვრავდა, თუ რა ფორმით მოხდებოდა ამ მიზნის რეალიზება. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტს განესაზღვრა როგორც შიდა მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების, ისე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის წესი და მექანიზმები. კრიტიკა მოჰყვა სოციალური საწარმოს სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებსაც, კერძოდ, კრიტიკას დაექვემდებარა აკრძალვა, რომელიც სახელმწიფოს „პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებასა და დაქვემდებარებას,“ ეხებოდა. მოითხოვეს აღნიშნული ჩანაწერის უკეთესი განმარტება ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებდა სოციალური საწარმოს სტატუსის გაუქმების 5 წლიან ვადას, თუმცა არ იყო გათვალისწინებული სტატუსის ჩამორთმევის მექანიზმი, თუ საწარმო ვეღარ აკმაყოფილებდა დადგენილ კრიტერიუმებს.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან<sup>42</sup> შეუსაბამოდ მიიჩნიეს კანონპროექტის ჩანაწერი, რომლის თანახმადაც პარტნიორებს, მეპაიეებსა და აქციონერებს, სტატუსის გაუქმების შემთხვევაში ეკისრებოდათ საწარმოს მიერ მიღებული ფულადი სახსრები და/ან ქონება.

კანონპროექტის მე-8 მუხლი განსაზღვრავდა ზოგად, დეკლარაციული ხასიათის სახელმწიფოს მიერ სოციალური მენარმეობის ხელშეწყობის ღონისძიებებს და არ უთითებდა შემოთავაზებული ღონისძიებების პრაქტიკაში განხორციელების მექანიზმებს. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ჩანაწერმა, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების პროცესში თანაბარი პირობების არსებობისას სოციალური საწარმეობის მიერ წარმოებულ პროდუქტსა და მომსახურებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას ითვალისწინებდა. ამ შემთხვევაში კორუფციის რისკებსა და სოციალური საწარმოს სტატუსის ბოროტად გამოყენების რისკებს ზრდიდა ის გარემოება, რომ არ იყო მითითებული, თუ რა სტანდარტის დაცვით უნდა მიაღწიოს სახელმწიფომ პრიორიტეტი სოციალურ საწარმეობს<sup>43</sup>.

საკანონმდებლო რეგულირების კუთხით საინტერესოა საერთაშორისო გამოცდილება. კერძოდ, ევროპული ქვეყნების ნაწილმა შეიმუშავა (ესპანეთი, ჩეხეთი, სლოვენია) სოციალური მენარმეობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს სოციალური მენარმეობის სამართლებრივ ფორმებს და ადგენს სოციალური მენარმეობის სტატუსის მოპოვების სტანდარტებს. რიგ ქვეყნებში სოციალური მენარმეობა არაა საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებული, თუმცა სახელმწიფო მათ ხილვადობას შესაბამისი სტრატეგიულ

43. <https://gyla.ge/ge/post/saias-mosazrebebi-parlaments-socialuri-metsarmeobis-shesakheb-kanonproeqtze#sthash.Ka-OCrHq2.dpbs>

44. Boosting Social Enterprise Development, Good Practice Compendium, OECD, available at: <https://www.oecdilibrary.org/docserver/9789264268500-7-en.pdf?expires=1587906190&id=id&accname=guest&checksum=F947E592C8C34C9FD732F-0C84B0D29C1>



თუ პოლიტიქურ დოქუმენტებში აღიარებით უზრუნველყოფს. ამის ნათელი მაგალითია ხორვატია, სადაც ამოქმედდა სოციალური მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წლებისთვის. სტრატეგია მიზნად სოციალური მეწარმეობისათვის სასურველი საარსებო გარემოს შექმნას ისახავდა<sup>44</sup> და მოიცავს სოციალური მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების თუ მიღწევების შესახებ ინფორმაციას.

იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური მეწარმეობა საკანონმდებლო დონეზე რეგულირებული, განსხვავებული მიდგომა არსებობს მის სამართლებრივ ფორმასთან დაკავშირებით. ესპანეთში, ჩეხეთსა და პოლონეთში, სოციალური საწარმო უნდა დაფუძნდეს სპეციალურად მისთვის განსაზღვრული ფორმით, რომელიც განსხვავდება სხვა იურიდიული პირებისთვის განკუთვნილი სამართლებრივი ფორმისგან. ალტერნატიულად, ქვეყნების ნაწილში ამგვარი სპეციალური ფორმა სოციალური საწარმოებისათვის განკუთვნილი არ არის. მეტიც, მსგავსად საქველმოქმედო ორგანიზაციების სტატუსისა, ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმის მქონე იურიდიულ პირს შეუძლია მიმართოს მარეგულირებელ ორგანოს სოციალური სტატუსის მისაღებად (სლოვენია, ლიტვა).

**ამერიქის შეერთებულ შტატებში, 40-მდე შტატს აქვს მიღებული კანონმდებლობა სოციალური მეწახმეობის შესახებ. ახციეითი მათგანი ახ მოითხოვს განსაკუთრებულ ფოქმას სოციალური საწახმოსათვის, თუმცა ხიგ შტატებში შემოიღეს სპეციალური ფოქმები: დაბადი მოგების მქონე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (low-profit limited liability company (L3C), ხომელიც პიქვედად ვეჩმონტის კანონმდებლობით შეიქმნა და დამატებით 8 შტატში მოხდა მისი ეპიკაცია და ე.წ. Benefit Corporation - ეს უკანასკნელი ფოქმა შეიქმნა მიენიქოთ მხოლოდ სოციალური და გაქმოსდაცვით სფეხოში მოღვაწე სოციალური საწახმოებს<sup>45</sup>.**

**მიუხედავად იმისა, ხომ დიდ ბიგანეთში ახ ახსებობს სოციალური მეწახმეობის კანონმდებლობა, ეს სფეხო მოცულია სათემო ინციეხის კომპანიის (Community Interest Company) სამახთლებივი ფოქმით. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხედი სოციალური საწახმოების დაფუძნებასა და ფუნციონირებას<sup>46</sup>.**

45. <https://www.degruyter.com/document/doi/10.1515/npf-2018-0046/html>

46. Doeringer, MF. Fostering Social Enterprise: A Historical and International Analysis, იბილეტ წყარო: <http://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1052&context=djCIL>, last accessed 23 September 2016.

## **პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტები, მუნიციპალური აქტები**

მიუხედავად სოციალური მენარმეობის მიმართ მზარდი ინტერესისა, დღეისათვის საქართველოში ჯერ კიდევ არაა შემუშავებული სოციალური მენარმეობის განვითარების სტრატეგია. გარდა ამისა, სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გათვალისწინებით, ნაკლებადაა შესწავლილი განვითარების არსებული პოტენციალი. საკანონმდებლო ბაზის შექმნასთან ერთად, იკვეთება სოციალური მენარმეობის განვითარების სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავების საჭიროება<sup>47</sup>.

სოციალური მენარმეობის განვითარების მიზანი სხვადასხვა სტრატეგიულ დოკუმენტში ასახულია, თუმცა არსადაა მოცემული სოციალური მენარმეობის განმარტება და შესაბამისი ჩანაწერებიც ზოგადი ხასიათისაა. ასე მაგალითად, 2019-2022 წლების საქართველოს მთავრობის დოკუმენტში „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ“ განსაზღვრულია შემდეგი:

„სახელმწიფო განახორციელებს ახალგაზრდობის სფეროში ხელშემწყობ ღონისძიებებს; სოციალურ მენარმეობაში ჩართვის გზით დაეხმარება ახალგაზრდული კავშირების გაძლიერებას“; „გაიზრდება ახალგაზრდული პროექტების მასშტაბები და არასამთავრობო სექტორი აქტიური მონაწილეობით მხარს დაუჭერს სამოქალაქო ჩართულობასა და სოციალურ მენარმეობას“<sup>48</sup>.

ამასთან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამაში სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერების კუთხით განსაზღვრულ საქმიანობას შორის მითითებულია სოციალური მენარმეობის პროექტების მხარდაჭერა<sup>49</sup>.

გარდა ამისა, 2020-2030 წლების ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციით განსაზღვრულია, რომ „სოციალური მენარმეობის მიმართულებით საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესება, ხელშემწყობი პროექტების ინიცირება და მათი მხარდაჭერის გაძლიერება, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა და ამ მიმართულების განვითარების ხელშემწყობი სხვა ღონისძიებების განხორციელება“<sup>50</sup>.

სოციალური მენარმეობის განვითარების ხელშემწყობის ღონისძიებებზე ჩანაწერები ადგილობრივი ხელისუფლების სამართლებრივ დოკუმენტებშიც გვხვდება, მაგ.: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონში სოციალური მენარმეობა კონფლიქტის შედეგად გახლეჩილ ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის ურთიერთობის გაძლიერების ერთ-ერთ მიმართულებადია აღიარებული<sup>51</sup>. 2017-2021 წლის ჩათვლით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია, რომ

47. [https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/soc%20mec.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/soc%20mec.pdf)

48. <https://mof.ge> > 2020-monacemebi-mimartulebebi

49. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4741784?publication=0>

50. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0>



„შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებისა და რეალიზებისათვის უპირატესობა მიენიჭება სოციალური მენარმეობის განვითარებასა და შშმ პირების მიერ შემოსავლების გამომუშავებაზე ორიენტირებულ პროექტებს“. მცხეთა-მთიანეთის 2016-2021 წლების განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში სოციალური მენარმეობის განვითარება მიიჩნევა „ეკონომიკის ინოვაციური დარგების განვითარების ხელშეწყობისა და ინვესტიციების მოზიდვის“ ერთ-ერთ ამოცანად<sup>52</sup>.

სოციალური მენარმეობის შესახებ ჩანაწერები სახელმწიფოს სტრატეგიულ დოკუმენტებსა და მუნიციპალურ აქტებში მიუთითებს საქართველოში ამ მიმართულების მზარდ პოლიტიკურ აღიარებაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტენდენცია ბევრად უფრო მძლავრი ფორმით შესამჩნევია სხვადასხვა ქვეყნის მასშტაბით. პოლიტიკური აღიარება ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, დაწყებული პოლიტიკური დებატებით სოციალური მენარმეობის ფენომენის შესახებ და დასრულებული სპეციალური განყოფილებებით ცენტრალურ ხელისუფლებასა თუ მუნიციპალიტეტების დონეზე (ლუქსემბურგი, დანია, პოლანდია) სოციალური მენარმეობისა და უფრო ფართო - სოციალური ეკონომიკის (მაგ.: საფრანგეთისა და ესპანეთის შემთხვევაში) მხარდაჭერის მიზნით. სოციალური მენარმეობის აღიარება ხორციელდება არაპირდაპირი გზითაც, რაც ამგვარი ორგანიზაციების მიერ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების შედეგად შესაბამის სოციალურ სფეროებში (კეთილდღეობა, დასაქმება, სახელმწიფო შესყიდვები) გატარებულ რეფორმებში გამოიხატება. ქვეყნების ნაწილში შექმნილია სოციალური მენარმეობის სტრატეგიები და შესაბამისი სამოქმედო გეგმები (ბულგარეთი, ხორვატია, პოლონეთი, ესტონეთი), როცა ზოგიერთ ქვეყანაში (დანია, ნიდერლანდები) მსგავსი სტრატეგიები მუნიციპალურ დონეზეც იქმნება. გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოების სტრატეგია განსაზღვრავს სოციალური მენარმეობის ხედვას და ხაზს უსვამს სახელმწიფო კონტრაქტებში სოციალური ღირებულების აქცენტირების საჭიროებას.

**საინტერესო მაგალითია კვიპროსი, სადაც სოციალური მენარმეობის ეკოსისტემის სამოქმედო გეგმის რეალიზება მნიშვნელოვნადაა შეფერხებული შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობის გამო<sup>53</sup>. ირლანდიის ეროვნული სოციალური მენარმეობის პოლიტიკის დოკუმენტი 2019-2022 წლებისათვის მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას, პირველი გულისხმობს სოციალური სანარმოების მხარდაჭერის გაძლიერებას; მეორე - მათი გავლენის მაქსიმიზაციას და მესამე - დაინტერესებული პირებისათვის ერთიანი სტრატეგიული ჩარჩოს შეთავაზებას.**

**ზემოთ აღნიშნული სამი მიმართულების აღსრულების მექანიზმები, ხომლებიც იხილანიაში დაინეხვა, ქვემოთაა წაჩმოგვნილი:**

51. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5073279?publication=1>

52. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3337546?publication=0>

53. <https://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=en&catId=952&furtherNews=yes&newsId=9534>

**1. სოციალური მენარმეობის შესახებ ცნობიერების ამალღებ:**

- ცნობიერების ამალღებზე ორიენტირებული სტრატეგიის შემუშავებ;
- საუკეთესო პრქექტიქის შესახებ ინფორმაციის გავრცელებ;
- ყოველწლიური სოციალური მენარმეობის შესახებ მასშტაბური კამპანიისა და ღონისძიებების ორგანიზებ;
- საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან პარტნიორობა სოციალური მენარმეობის განვითარების მიზნით.

**2. სოციალური მენარმეობის შექმნისა და განვითარების ხელშეწყობ:**

- ბიზნესის მხარდაჭერის სქემების ხელმისაწვდომობის გავრდა სოციალური მენარმეებისათვის მათი შექმნისა და განვითარების მიზნით;
- არსებული დაფინანსების მექანიზმების შესახებ ინფორმაციის უწყვეტი მიწოდებ;
- კერძო და სახელმწიფო შესყიდვების პროცესში სოციალური სანარმეების კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად მათი შესაძლებლობების განვითარებ;
- არსებული სამართლებრივი ფორმების შეფასება და სპეციფიკური ფორმის შემოღების საჭიროების შეფასებ.

**3. რელევანტური პოლიტიქის შემუშავებ:**

- მთავრობასა და სოციალურ სანარმეებს შორის ურთიერთობების გამყარებ;
- პოლიტიქის შესაბამისობის უზრუნველყოფა სხვა შესაბამის აქტებთან (მოქმედებ კლიმატისათვის, ირლანდიის მომავალი სამუშაო ადგილები და ა.შ.) საიმისოდ, რომ ჰოლისტური ეკოსისტემა ჩამოყალიბდეს;
- საერთაშორისო ჩართულობის უზრუნველყოფა (ევროკავშირი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია);
- სტატისტიკური მონაცემების შეგროვების გაუმჯობესებ;
- სოციალური სანარმეების გავლენის შეფასების/დადგენის მეთოდოლოგიის შემუშავებ.

ირლანდიის აღნიშნული პოლიტიქის დოკუმენტის თანახმად, ამ მიზნების მისაღწევად სტრატეგია სპეციფიკური და დროში განერილი უნდა იყოს, ახლდეს შესაბამისი ბიუჯეტი. ამასთან, სტრატეგიის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ დაინტერესებული პირები. ასევე, ხსენებული პოლიტიქის დოკუმენტის შესაბამისად, ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული კვლევის ელემენტი<sup>54</sup>.

54. <https://www.oecd.org/cfe/leed/OECD-Workshop-Highlights-Luxembourg-FINALwithcover.pdf>

## ინსტიტუციური ჩახრო

სხვადასხვა პროექტის ფარგლებში კერძო ფინანსურ სექტორთან თანამშრომლობის პოზიტიური გამოცდილების მიუხედავად, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, არ არსებობს დაწესებულებები, რომლებიც სოციალურ სანარმოებს მხარს დაუჭერდა კრედიტის მიღებაში ან ფინანსური გარანტიების მოპოვებაში. ამასთან, არ არსებობს სახელმწიფო ან მუნიციპალური ფონდი, რომლის წამყვანი ბენეფიციარები სუბსიდიების, სესხების ან გრანტების გაცემის, შესაძლებლობების განვითარების მეშვეობით სოციალური სანარმოები იქნებოდნენ. მეტიც, საქართველოში არ არსებობს სოციალური მენარმეობის სფეროს მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი უწყება. გარდა ამისა, მოქმედი სამინისტროების დებულებებში სოციალურ მენარმეობასთან დაკავშირებული ფუნქციები ნახსენები არაა. გამონაკლისს წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, რომელიც ყოფილი პატიმრების დასაქმების მიზნით ითვალისწინებს სოციალური სანარმოების შექმნისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობას<sup>55</sup>.

რაც შეეხება სახელმწიფო ინსტიტუციებს, რომელთა საქმიანობა სოციალური მენარმეობის წახალისებას უწყობს ხელს, აღსანიშნავია სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“, რომლის მიერ 2013-2016 წლებში დაფინანსებული პროექტების 20%-ს სოციალურ მენარმეობასთან დაკავშირებული ინიციატივები შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ფონდის პირდაპირ ფუნქციებში არ შედიოდა უშუალოდ სოციალური მენარმეობის წახალისება, სუბსიდირება და მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, ფონდი აფინანსებდა სოციალური მენარმეობის განვითარებაზე მიმართულ აკადემიურ ღონისძიებებს (საზაფხულო სკოლები და ტრენინგები). სოციალური მენარმეობის მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გარდა, ფონდი მონაწილეობდა საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებაშიც. მწირი რესურსების მიუხედავად, ფონდი სოციალური მენარმეობის და ინოვაციის ხელშეწყობის ერთ-ერთ მძლავრ ინსტიტუტად მოიაზრებოდა.

2019 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ უფლებამონაცვლედ საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო. მის უფლებამოსილებებს შორისაა ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინირება, ახალგაზრდებში სამენარმეო უნარების განვითარება. ამ ეტაპზე სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაექვემდებარა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის ნაცვლად სააგენტო ამჟამად კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშაა, აღნიშნულმა, შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის შესაძლებლობაზე, შეასრულოს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს მაკოორდინირებელი ფუნქცია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს სააგენტოს შემდგომი როლის განმტკიცებას სოციალური მენარმეობის წახალისების კუთხით.

55. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4764384?publication=0>

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფარგლებში სოციალური მეწარმეობამსჯავრდადებულთარესოციალიზაციისადადასაქმებისერთ-ერთიმიმართულება იყო. ამ მიზნით 2015 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაციების - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და მიგრაციის საკითხებში შვეიცარიის ფედერალური ოფისის თავისუფლების ფინანსური მხარდაჭერით, შეზღუდვის დაწესებულებებში დაარსდა სოციალური საწარმოები, სადაც დამზადებული პროდუქციის რეალიზება პენიტენციურ დაწესებულებებში ხდება.

სამინისტროს არ ჰქონდა მიზნობრივი პროგრამები ან რესურსები სოციალური მეწარმეების დასაფინანსებლად. მსგავსად ხსენებული უწყებისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროც სოციალურ მეწარმეობას აღიქვამს მსჯავრდადებულთა რესოციალიზაციის, დანაშაულის პრევენციისა და ყოფილ ნარკომომხმარებელთა რეაბილიტაციის საშუალებად.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე, არ აქვს სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი სპეციალური პროგრამები, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ მართული პროექტების ბენეფიციარებს შორის სოციალური მეწარმეებიც არიან. მისი პროგრამების („წარმოე საქართველოში“, „მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა“) ფარგლებში, სამინისტრო ხელს უწყობს სტარტაპების დაფინანსებას, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სესხების ხელმისაწვდომობას, სესხის უზრუნველყოფას (თავდებობას) მსხვილი ბიზნესისათვის, საწარმოების აღჭურვილობის განახლებასა და განვითარების მხარდაჭერას. ამ შესაძლებლობებით სარგებლობა შეუძლიათ სოციალურ მეწარმეებსაც. მიუხედავად ამისა, მეწარმეობის მხარდამჭერი ზოგადი პროგრამების ფარგლებში, სოციალურ მეწარმეებს უჭირთ, კონკურენცია გაუწიონ მცირე და საშუალო საწარმოებს, რომლებსაც ბევრად განვითარებული ინფრასტრუქტურა და ქონებრივი გარანტიები აქვთ კონკურსში მონაწილეობისას. გარდა ამისა, სოციალური მეწარმეების ნაკლები ყურადღება მოგების ზრდაზე სოციალური მიზნების მიღწევის სასარგებლოდ, მათ ასევე, ნაკლებმომგებიან პოზიციაში აყენებს, რადგან კონკურსის ერთ-ერთი კრიტერიუმი ხშირად სწორედ ფინანსური მოგების ზრდაა. იქიდან გამომდინარე, რომ სოციალური მეწარმეების ნაწილი უმეტესწილად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით არიან დაფუძნებული, მათ კონკურსში მონაწილეობის მიღება ხშირად არ შეუძლიათ. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროც ახორციელებს მიზნობრივ პროექტებს მეწარმეობის ხელშესაწყობად. პროგრამების ბენეფიციარები შეიძლება გახდნენ სოციალური საწარმოებიც, თუმცა ისინი იმავე პრობლემებს აწყდებიან, რომლებიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადმინისტრირებულ პროგრამებშია.

ამ ეტაპზე არცერთი უწყება არ ასრულებს სოციალური მეწარმეობისა და ამ სფეროში ჩართულ პირთა შესაძლებლობების განვითარების, ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობის მიზანმიმართულ და ჰოლისტურ საქმიანობას პროგრამებისა თუ სტრატეგიული დოკუმენტების შესაქმნელად.

ევროპული გამოცდილების თვალსაზრისით, აღსანიშნავია შვედეთის გამოცდილება, სადაც, სპეციფიკური სამინისტროს არარსებობის მიუხედავად, სოციალური მენარმეობის განვითარებას სხვადასხვა უწყება მიზნობრივი პროგრამებით უწყობს ხელს (შვედეთის ეკონომიკისა და რეგიონული განვითარების სააგენტო, ინოვაციის სააგენტო, დასაქმების სამსახური)<sup>56</sup>.

ლატვიის ინვესტირებისა და განვითარების სააგენტო, ასევე, გვევლინება სოციალური მენარმეობისა და ინოვაციების განვითარებაზე პასუხისმგებელ უწყებად. მისი მიზნობრივი პროგრამები მიმართულია სტარტაპ სოციალური საწარმოების მხარდაჭერა, ინოვაციების კომერციალიზაცია და სოციალური საწარმოების მიმზიდველობის გაზრდა ინვესტორთათვის და მათი პროდუქციის ექსპორტზე გასატანად<sup>57</sup>.

პოლონეთში შეიქმნა საჯარო ორგანო - სოციალური ეკონომიკის სისტემური გადამწყვეტილებების საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს ოჯახის, შრომის და სოციალური პოლიტიკის მინისტრი. საბჭოს შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სოციალური ეკონომიკის სექტორის წარმომადგენლები<sup>58</sup>.

უწყების მანდატს წარმოადგენს სოციალური საწარმოების ფინანსური და არაფინანსური მხარდაჭერა, ასევე, პოლიტიკისა და სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავება სოციალური ეკონომიკის სფეროში<sup>59</sup>.

რაც შეეხება კანადას, აქ სოციალური მენარმეობის მხარდაჭერი სისტემები, ძირითადად, რეგიონულ დონეზე იქმნება. ონტარიოში სოციალური მენარმეობისა და მისი განხორციელების საჯარო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი უწყება ეკონომიკური ზრდისა და განვითარების სამინისტროა. გარდა ამისა, სოციალური საწარმოების ოფისი (OSE) ონტარიოს მთავრობას სოციალური მენარმეობის დარგში სხვადასხვა აქტივობის კოორდინირებაში ეხმარება<sup>60</sup>. სოციალური მენარმეობის საჭიროებების შესწავლის საფუძველზე, ოფისი ხელს უწყობს მთავრობის შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვას და ასევე, ქმნის რელევანტურ პროგრამებს აღნიშნული დარგის მხარდასაჭერად<sup>61</sup>.

ტორონტოში ფუნქციონირებს მენარმეობის ფონდი (Toronto Enterprise Fund)<sup>62</sup> - უწყებათაშორისი დამოუკიდებელი ამხანაგობა, რომელშიც ერთიანდებიან ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების, თვითმმართველობის, სოციალური სერვისების სამინისტროსა და ფედერალური მთავრობის წარმომადგენლები.

56. Support mechanisms for social entrepreneurship in the Baltic Sea Region; <https://www.socialenterprisesbr.net/2018/08/support-mechanisms-for-social-entrepreneurship-in-the-baltic-sea-region/>

57. Social enterprises and their ecosystems in Europe – Comparative synthesis report; <https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=738&langId=en&pubId=8274>

58. ევროპის კომისია, სოციალურ საწარმოთა რუკა და მათი ეკო-სისტემები ევროპაში, ქვეყნის ანგარიში: პოლონეთი, 2014, გვ. 4.

59. ევროპის კომისია, სოციალურ საწარმოთა რუკა და მათი ეკო-სისტემები ევროპაში, ქვეყნის ანგარიში: პოლონეთი, 2014, გვ. 4.

60. <http://seontario.org/home/about-social-enterprise-ontario/government-of-ontario-support-for-social-enterprise/>

61. <http://seontario.org/social-enterprise-in-ontario/>

62. <http://www.torontoenterprisefund.ca>

**ფონდის საქმიანობა მოიცავს იმ სოციალური სანარმოების მხარდაჭერას, რომლებიც ზრუნავენ მონყვლადი მოსახლეობის დროებით ან სტაბილურ დასაქმებას და ჩართული არიან დასაქმებაზე ორიენტირებული ტრენინგების დაგეგმვაში<sup>63</sup>.**

## **წვდომა ფინანსებთან**

ფინანსებთან წვდომის თვალსაზრისით, სამი განზომილებაა საინტერესო. ესაა სოციალური სანარმოებისათვის ხელმისაწვდომი არასაკრედიტო მექანიზმები (ინვესტიცია, გრანტი, სუბსიდია), საკრედიტო ფინანსური ინსტრუმენტები და საგადასახადო შეღავათები, სტიმულები თუ უპირატესობები.

## **ახასაყხედიტო მექანიზმები - ინვესტიცია, გრანტი, სუბსიდია**

სოციალური მეწარმეობის განვითარების მიმართულებით საქართველოში დახარჯულმა თანხამ 2017 წლის მდგომარეობით 7 მლნ ლარს გადააჭარბა<sup>64</sup>. 2012-2017 წლებში სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი გამოყოფილია საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრეზიდენტის, მუნიციპალიტეტებისა თუ სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სხვადასხვა საბიუჯეტო ასიგნების სახით, რამაც ჯამურად გადააჭარბა 1.6 მლნ ლარს<sup>65</sup>. სოციალური სანარმოების დიდი ნაწილი ინსტიტუციური დონორების (ევროკავშირი, Bread for the World BfW), დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (Danish International Development Agency DANIDA, და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Swedish International Development Cooperation Agency (Sida) ფინანსური დახმარებით შეიქმნა.

ფინანსებზე წვდომის უზრუნველყოფის კუთხით აღსანიშნავია „პური მსოფლიოს“ მიერ დაფინანსებული საგრანტო პროგრამა, რომელსაც სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ახორციელებს. საგრანტო კონკურსი გამოცხადდა COVID-19-ის ფარგლებში გაჩენილი ახალი გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით და ორი მიმართულება აქვს:

- ა) სოციალური სანარმოს განვითარება, რაც გულისხმობს სანარმოს პროდუქტის ან მომსახურების დახვეწას, ახალი მიდგომით საქმიანობის გაგრძელებას, ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ინტერნეტსივრცის გამოყენებას, სამუშაო პროცესში ცვლილებების შეტანას და ა.შ;
- ბ) სოციალური სანარმოს გაფართოება, რაც გულისხმობს ახალი პროდუქტის/მომსახურების შექმნას, ახალი რეგიონის ათვისებას, საერთაშორისო ბაზარზე გასვლას და ა.შ<sup>66</sup>.

63. <http://www.torontoenterprisefund.ca/about-tef/what-is-the-toronto-enterprise-fund>

64. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/204468?>

65. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/204468?>

66. <http://segeorgia.org/info.php?ID=97>



სოციალური მეწარმეობის ფინანსური მხარდაჭერის კუთხით აღსანიშნავია კერძო სექტორის ინიციატივებიც. კერძოდ, საქართველოს ბანკის ფონდის „სიცოცხლის ხე“, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობაა. ფონდის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსები მიმართულია სოციალური მეწარმეობის წახალისების, ინოვაციური მიმართულებების ათვისების, შშმ პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ზრუნვის გაძლიერებისკენ მათ დასასაქმებლად<sup>67</sup>.

## **საკხედიგო ფინანსური ინსტრუმენტები**

ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისათვის“ ფარგლებში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “კრისტალმა” სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის, ბიზნეს უწარ-ჩვევების გაძლიერებისა და სოციალურ სანარმოთა ფინანსური თვითუზრუნველყოფის ამალღების მიზნით შეიმუშავა საკრედიტო პროდუქტი „სოციალური კრედიტი“, რომელიც გაიცემა სოციალური მეწარმეობის დასაწყებად ან საქმიანობის გასაფართოებლად<sup>68</sup>. მიუხედავად კერძო სექტორის ცალკეული წარმომადგენლების მიერ გადადგმული ნაბიჯებისა, ფინანსური ინსტიტუტების უმრავლესობას უჭირს სოციალური სანარმოების საჭიროებების შესაბამისი საკრედიტო და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების შეთავაზება.

აღსანიშნავია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ანარმოე საქართველოში“, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა. გარდა ამისა, აღნიშნული უწყების მიერ ადმინისტრირებულ საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა სამეწარმეო იურიდიულ პირებსაც შეუძლიათ. მიუხედავად იმისა, რომ უწყების პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის სოციალური მეწარმეობის სფერო არაა განსაზღვრული, მისი სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში გრანტის გაცემის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის დასახელებულია მაღალი ინკლუზიურობის მქონე სექტორებზე ორიენტირებული პროექტები: ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება; სოფლად/მაღალმთიან სოფელში ბიზნესის დაწყება/გაფართოება; დევნილთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება. გარდა ამისა, მისი საკრედიტო-საგრანტო მექანიზმი მიმართულია საკრედიტო გრანტიის გაცემაზე მცირე და საშუალო სანარმოებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები. დაფინანსების მოპოვების პოტენციურ წყაროებს შორის აღსანიშნავია, ასევე, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიური სააგენტოს (GITA) ფარგლებში არსებული დაფინანსების პროგრამები სტარტაპებისთვის, როგორც კომერციალიზაციის, ასევე კვლევა-განვითარების ეტაპზე, რომლებზე წვდომაც სამეწარმეო იურიდიულ პირებს აქვთ. თუმცა, GITA-ს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ინოვაციური მიდგომების დანერგვა და ის, ძირითადად, სტარტაპებზე ფოკუსირდება.

67. <https://tree.ge/news-item/63/>

68. <http://segeorgia.org/nmore.php?NID=256>



აღნიშნულის ფარგლებში, თეორიულად, სოციალურ სანარმობებს აქვთ GITA-ს მიერ მხარდაჭერილი ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის შესაძლებლობა, თუმცა ზოგადი პროგრამების ფარგლებში მათი კონკურენტუნარიანობა ნაკლებია იმ ორგანიზაციებთან შედარებით, რომელთაც უფრო განვითარებული ინფრასტრუქტურა და ქონებრივი გარანტიები აქვთ და მოგების ზრდაზე არიან ორიენტირებულნი. გარდა ამისა, ამ პროგრამებზე წვდომა შეზღუდული აქვთ ა(ა)იპების სახით რეგისტრირებულ სოციალურ სანარმობებს<sup>69</sup>.

## **საგადასახადო შეღავათები, უპიქაგესობები და სტიმულები**

საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ ითვალისწინებს შეღავათებს სოციალური სანარმობებისათვის. ამასთან, ა(ა)იპ-ის ფორმით მოქმედი სოციალური სანარმობები ვერ სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად მიღებული გრანტების შემთხვევაში<sup>70</sup>. შესაბამისად, ა(ა)იპ-ების სახით რეგისტრირებული სოციალური სანარმობების მიერ მოპოვებული გრანტის ეკონომიკურ საქმიანობაზე მიმართვის შემთხვევაში აღნიშნული შემოსავლები დაბეგვრას დაექვემდებარება. ამასთან, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც სრულდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ა(ა)იპ-ების სახით რეგისტრირებული სოციალური სანარმობების შემთხვევაში, მხოლოდ სოციალური მიზნებით განუული (საქველმოქმედო) ხარჯები თავისუფლდება მოგების გადასახადისაგან.

აღნიშნული წესიდან გამონაკლისს უშვებს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც „მენარმე სუბიექტი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სანარმოს სტატუსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადითა და წესით თავისუფლდება გადასახადებისაგან.“ თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ა(ა)იპების სახით რეგისტრირებული სოციალური სანარმობები მენარმე სუბიექტებად არ მოიხზრებიან, შესაბამისად, ვერ სარგებლობენ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებით.

შპს-ს და სხვა სამენარმეო იურიდიული პირის ფორმით მოქმედი სოციალური სანარმობები, ტრადიციული სანარმობების მსგავსად, სარგებლობენ ახალი საგადასახადო რეჟიმით, რომელიც გულისხმობს რეინვესტირებული მოგების (ე.ი. მოგების, რომლის ინვესტირება სამენარმეო საქმიანობაში ხდება) გათავისუფლებას შესაბამისი გადასახადისაგან. აღნიშნული ჩანაწერის ცალსახა პოზიტიური გავლენის მიუხედავად (განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური სანარმობები მოგების უდიდესი ნაწილის რეინვესტირებას ახდენენ), აღსანიშნავია, რომ მსგავსი საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება „არაეკონომიკური მიზნებით“ (სოციალური და საქველმოქმედო) განაცემებზე.

69. <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka>

70. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი

შესაბამისად, სოციალური სანარმო, რომელიც მოგების დიდ ნაწილს სოციალური მიზნის მისაღწევად იყენებს, ვერ სარგებლობს ზემოთ დასახელებული შეღავათით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო კუთხით, სოციალურ მეწარმეებს მრავალი დაბრკოლება ექმნებათ.

პოლონეთის 2014-2020 წლების ცენტრალური პროგრამის ფარგლებში (PO WER), სოციალური სანარმოების ფინანსებთან წვდომის გასაზრდელად გათვალისწინებულია ფინანსური ინსტრუმენტების (სესხები და გარანტიები) შექმნა<sup>71</sup>.

ონტარიოს (კანადა) სოციალური სანარმოების სტრატეგია 2016-2021<sup>72</sup> ფინანსურ ინსტრუმენტებზე წვდომის გასაზრდელად ითვალისწინებს სოციალური სანარმოების ბაზარსა და კაპიტალთან დაკავშირებას ახალი შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით და სოციალური სანარმოს ღირებულების და სოციალური ფინანსების დემონსტრირებას ინვესტორებისთვის, მთავრობისა და საზოგადოებისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილია სახელმწიფო და კერძო დახმარების სახეები და მათზე წვდომის ხარისხი სხვადასხვა ქვეყნის მასშტაბით.

მხარდაჭერის ინსტრუმენტების სახეები	ხელმისაწვდომია შეზღუდვის გარეშე	ხელმისაწვდომია შეზღუდვებით	არაა ხელმისაწვდომი
სახელმწიფო გრანტები და სუბსიდიები	ავსტრია, ფინეთი, იტალია, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი	ბელგია, კვიპროსი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, ლატვია, ლიტვა, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი	ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო
გრანტები და მხარდაჭერის სხვა ინსტრუმენტები კერძო ინსტიტუციების ფონდებისგან	ავსტრია, ბელგია, ხორვატია, ჩეხეთი, გერმანია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, გაერთიანებული სამეფო	ბულგარეთი, ესტონეთი, საფრანგეთი, ირლანდია, მალტა, პორტუგალია, სლოვაკეთი, ესპანეთი	კვიპროსი, დანია, ფინეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, სლოვენია, შვედეთი
კერძო და საჯარო დახმარება ინკუბატორებისა და ბიზნეს ინოვაციების ცენტრებისათვის	ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, ესტონეთი, ფინეთი, საბერძნეთი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, ესპანეთი	ხორვატია, დანია, საფრანგეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, გაერთიანებული სამეფო	ბულგარეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, შვედეთი

აღსანიშნავია ონტარიოში (კანადა) არსებული დაფინანსების მექანიზმი - მიკროსესხების ფონდი სოციალური მეწარმეებისათვის. ფონდი ფუნქციონირებს სოციალური მეწარმეების დასახმარებლად ფინანსურ რესურსებზე მათი წვდომის ზრდით. კერძოდ, ეკონომიკურ მოგებაზე ორიენტირებული სანარმოებისათვის გათვალისწინებულია კრედიტი და სანარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის შემომწმება შემდგომი კონსულტაციების განწვის მიზნით<sup>73</sup>. კანადის საიუბილეო ფონდი (Jubilee Fund) კრედიტს გასცემს სოციალური სანარმოებისთვის, რომლებიც არასაკმარისი ეკონომიკური გარანტიების გამო ჩვეულებრივ პირობებში ვერ მიიღებდნენ დახმარებას ფინანსური ინსტიტუტებისგან<sup>74</sup>. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება

71. სოციალურ სანარმოთა რუკა და მათი ეკონსისტემები ევროპაში, ქვეყნის ანგარიში: პოლონეთი, 2014, გვ. 8-10.

72. <https://www.ontario.ca/page/ontarios-social-enterprise-strategy-2016-2021>

73. <https://socialinnovation.org/about/thought-leadership/the-ontario-catapult-microloan-fund/>

74. <http://www.jubileefund.ca/faq.php>

ბიზნესპროექტები სოციალური მიზნებით. საინტერესოა ფონდის მიერ ინვესტორების მოძიების პროცესი კრედიტებისათვის საჭირო თანხების აკუმულირების მიზნით. კერძოდ, ფონდი ინვესტორებს სთავაზობს 3-5 წლიან საინვესტიციო სერტიფიკატს<sup>75</sup>.

## **წვდომა ბაზარზე**

2017 წელს სოციალური მენარმეობის კვლევის პროცესში ჩატარებულმა გამოკითხვამ ამ ტიპის საწარმოების ბაზარზე შეზღუდული წვდომის პრობლემა გამოავლინა. კერძოდ, გამოკითხულთა 18%-ის შემოსავლის ერთადერთ წყაროს საერთაშორისო ან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტები წარმოადგენდა. გამოკითხულთა 70%-ის შემოსავლის წყაროს სამენარმეო (ეკონომიკური) საქმიანობაც წარმოადგენდა, თუმცა მხოლოდ 27%-ისთვისაა გაყიდვები შემოსავლის ერთადერთი წყარო. მთლიანობაში გამოკითხულ საწარმოთა 48%-ს შემოსავლის ერთადერთი წყარო აქვს. გამოკითხულთა მხოლოდ 6%-ს მიუღია შემოსავლები სახელმწიფო შესყიდვებიდან - სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის დაკვეთით საქონლის/მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. წლიური მოგება, აღნიშნულის გათვალისწინებით, გამოკითხულთა 51%-მა აღნიშნა, რომ არ ჰქონდა, ხოლო 21%-ის შემთხვევაში მოგება 1000 ლარამდე იყო.

აღნიშნული მაჩვენებლები არაერთი ფაქტორით აიხსნება. მათ შორისაა, ჩვენ მიერ ზემოთ უკვე არაერთხელ ნახსენები დაბალი კონკურენტუნარიანობა კერძო ბაზარზე, რომლის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაა. კერძოდ, სხვადასხვა სოციალურ საწარმოსთან ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის, ლიტერატურის მიმოხილვისა და დაკვირვების შედეგად, **გამოვლინდა კონკურენტუნარიანობის შემაფერხებელი შემდეგი ფაქტორები:**

1. სუსტად დაგეგმილი საქმიანობის მოდელი, რომელშიც ბიზნესის პრინციპები სათანადო დონეზე არაა ინტეგრირებული. შესაბამისად, საწარმო უფრო საქველმოქმედო ორგანიზაციის ან არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქციების შემსრულებელი უფროა, ვიდრე ერთეული, რომელიც აერთიანებს სოციალური კეთილდღეობისა და ეკონომიკური მდგრადობის მიზნებს. ის საწარმოებიც კი, რომელთაც ეკონომიკური მდგრადობის მიზანი შედარებით უკეთ აქვთ ინტეგრირებული ბიზნესმოდელში, ხშირად აწყდებიან პრობლემებს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე და განიხილავენ როგორც პროდუქტის დასამზადებელი ნედლეულის დივერსიფიცირების, ისე წარმოების კონკრეტული ეტაპის აუთსორსინგზე გატანას.
2. ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის ნაკლებობა, რაც წარმოებული პროდუქტის მოცულობასა და ხარისხზე უარყოფითად შეიძლება აისახოს. კერძოდ, სოციალური პრიორიტეტიდან გამომდინარე, სოციალური საწარმოების ნაწილი, თანამშრომლების რაოდენობის შენარჩუნების მიზნით, მუშახელის „ჩამნაცვლებელი“ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაზე უარს ამბობს, რაც

75. [https://static1.squarespace.com/static/598b47ff6a49631e85d75e53/t/5bf705e4f950b75bc4a1fd03/1542915557271/The+Jubilee+Fund\\_FINAL\\_EN\\_0\\_acc.pdf](https://static1.squarespace.com/static/598b47ff6a49631e85d75e53/t/5bf705e4f950b75bc4a1fd03/1542915557271/The+Jubilee+Fund_FINAL_EN_0_acc.pdf)

აისახება წარმოებული პროდუქტის მოცულობაზე/ხარისხზე და შედეგად, შეიძლება გამოიწვიოს კლიენტების ბაზის შემცირება. სოციალური საწარმოების სიმცირიდან გამომდინარე, ნაკლებ რეალისტური, თუმცა შესაძლებელია ad hoc კოოპერატიული საქმიანობა იმავე სფეროში მოქმედ სხვა სოციალურ საწარმოებთან ერთად, პროდუქტის კლიენტისათვის მისაღები მოცულობის საწარმოებლად. გარდა ამისა, სოციალური საწარმოების ნაწილის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგ.: გადამუშავებული ქაღალდი და მისგან დამზადებული საკანცელარიო ნივთები), პროდუქტის ხარისხი განსხვავებულია ბაზარზე ზოგადად მიღებული სტანდარტებისგან. შესაბამისად, ბაზრის პენეტრაციასა და თავის დამკვიდრებას უფრო დიდი დრო სჭირდება, რაც, გარკვეულ ეტაპზე, ეკონომიკურ მდგრადობაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

3. მომხმარებელთა მცირე აუდიტორია - რიგ შემთხვევებში ამგვარი ტარგეტირება განპირობებულია ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ფაქტორით (წარმოებული პროდუქტის იერსახე, ხარისხი განსხვავებულია სტანდარტებისაგან). შესაბამისად, მომხმარებელთა ამ სექტორის შემცირების შემთხვევაში (მაგ.: ტურისტები/ტურისტული კომპანიები), გაყიდვები მკვეთრად შეიძლება შემცირდეს.
4. წარმოებული პროდუქტის მაღალი თვითღირებულება საბაზრო ფასთან შედარებით - რაც აიხსნება ალქურვილობაზე წვდომის სიმცირით, თავად სოციალური კეთილდღეობის შესაქმნელად, რაც შეიძლება გამოიხატოს სოციალური საწარმოს სახელფასო პოლიტიკაში, რომლის ფარგლებშიც ანაზღაურება უფრო მაღალია, ვიდრე შრომით ბაზარზე არსებული საშუალო ხელფასი; ასევე, პრიორიტეტის მინიჭებაში, უფრო ძვირადღირებული ნედლეულის გამოყენებაში.
5. დაბალი საზოგადოებრივი ცნობიერება სოციალური საწარმოების საქმიანობის მნიშვნელობის შესახებ და მომხმარებელთა ზოგადი ეკონომიკური მოწყვლადობა, რაც ხელს უშლის შედარებით ძვირადღირებული ან განსხვავებული ხარისხის პროდუქტის პერმანენტულად მოხმარებას.
6. შესაბამისი მარკეტინგული უნარების ნაკლებობა, რაც ხელს უშლის ახალი კლიენტების მოძიებას, აგრესიული სარეკლამო კამპანიების წარმოებას.
7. მუშახელის რაოდენობის სიმცირე.
8. ამასთან, უნდა აღინიშნოს სოციალურ საწარმოთა კონკურენტუნარიანობა საჯარო შესყიდვების პროცესში. გარდა ზემოთ დასახელებული ფაქტორებისა, მათ წარმატებულ მონაწილეობას საჯარო შესყიდვების პროცესში ხშირად აფერხებს შემდეგი გარემოებები:
9. საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობის გამო, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონიც არ იცნობს სოციალური მეწარმეობის ცნებას და მათუდგენს ისეთივე კონკურენტულ პირობებში მონაწილეობის ვალდებულებას, როგორსაც ტრადიციულ საწარმოებს. არ არის გათვალისწინებული და შეფასებული შესყიდვებისას დამატებითი სოციალური სარგებელი. შესაბამისად, არაა დაწესებული გარკვეული შეღავათები ასეთი ტიპის საწარმოებისათვის.

10. სახელმწიფო შესყიდვების დროს პრივილეგია/საშელავათო რეჟიმი არც რომელიმე სოციალური სანარმოს ძირითად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული სუბიექტებისათვისაა (ა(ა)იპ, შპს) გათვალისწინებული;
11. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით პრიორიტეტი ენიჭება პრეტენდენტს, რომელსაც ყველაზე დაბალი ფასის შეთავაზება შეუძლია. აღნიშნული გარემოება სოციალურ სანარმოებს ტრადიციულ ბიზნესთან შედარებით წამგებიან პოზიციაში აყენებს, რადგან მათი დიდი ნაწილი დამწყები სანარმოა, ხოლო პროდუქტის თვითღირებულება, ზემოთ დასახელებული ფაქტორების გამო, შედარებით მაღალია. სისტემა ვერ ხედავს სანარმოების მიერ შექმნილ სოციალურ სარგებელს, რომლის მიღების შემთხვევაში, (სამუშაო ადგილების შექმნა მონყვლადი პირებისათვის, ახალგაზრდების მომზადება სამუშაო ბაზრისათვის), შემცირდება სახელმწიფოს სოციალური ტვირთი.

საერთაშორისო პრაქტიკის თვალსაზრისით, აღსანიშნავია კანადის გამოცდილება. კერძოდ, ბრიტანეთის კოლუმბიაში მოქმედი შესყიდვის სახელმძღვანელო პრინციპები საშუალებას იძლევა სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული იყოს პრეტენდენტის მიერ შექმნილი პროდუქცია, მეორე მხრივ, ტრადიციულმა სანარმოებმა სატენდერო განაცხადში შეიძლება მიუთითონ, თუ როგორ ითანამშრომლებენ შეკვეთის შესრულების პროცესში სოციალურ სანარმოებთან (ქვეკონტრაქტების მეშვეობით). სავალდებულო წესით ხორციელდება შესყიდვის პროცესის მონიტორინგი<sup>76</sup>.

ხორვატიის კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ლიმიტირებული რაოდენობის კონტრაქტებს აფორმებს სოციალურ სანარმოებთან ჯანდაცვის, სოციალური და კულტურის სფეროებში სერვისების მისაწოდებლად<sup>77</sup>, ხოლო ლიტვის სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა უშვებს სოციალური სანარმოებისგან გამარტივებული წესით შესყიდვას. ამასთან, შესყიდვების მთლიანი ღირებულების სულ მცირე, 5%-ის ოდენობის პროდუქტი/სერვისი სოციალური სანარმოსგან უნდა იყოს შეძენილი<sup>78</sup>.

## სისტემური დახმარება უნახებისა და ბიზნესის განვითარების კუთხით

როგორც დოკუმენტის შესავალში აღინიშნა, სოციალური მეწარმეობის დარგის განსავითარებლად, ამ სფეროში არსებულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების, არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების განსაზღვრასთან ერთად, მიმართულების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამის კვლევებს. სწორედ სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობითაც შეიძლება აიხსნას გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მიერ შესაბამისი ცვლილებების დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემები სოციალური მეწარმეობის სფეროში.

76. იქვე.

77. Social enterprises and their ecosystems in Europe – Comparative synthesis report; <https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=738&langId=en&pubId=8274>

78. [https://ec.europa.eu/regional\\_policy/sources/policy/how/improving-investment/public-procurement/study/country\\_profile/lt.pdf](https://ec.europa.eu/regional_policy/sources/policy/how/improving-investment/public-procurement/study/country_profile/lt.pdf)



გარდა ამისა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ მომზადებული თემატური ანგარიშები ხაზს უსვამს წევრი ქვეყნების ეროვნულ დონეზე სოციალურ მენარმეობაში ჩართულ პირთა უნარების სისუსტეს. ნაკლებადაა განვითარებული ბიზნესის წარმოების, ინვესტიციების მოზიდვის, ფინანსური გეგმების, წარმოებული პროდუქტისა თუ სერვისის განვითარების უნარები. უნარების ნაკლებობა უარყოფით გავლენას ახდენს მათ კონკურენტუნარიანობასა და სოციალური სიკეთის შექმნის შესაძლებლობებზე. უნარების გაძლიერების თვალსაზრისით, მიუხედავად კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობისა (დანის გამოცდილებით, სადაც მსგავსი თანამშრომლობა სპორადულ ხასიათს ატარებს), აუცილებელია, ხაზი გაესვას ახლებური სამეწარმეო აზროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც ბიზნეს და სოციალური პრინციპების ჯანსაღ ბალანსს ეყრდნობა. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო პრაქტიკის თვალსაზრისით, სოციალურმა მენარმეობამ უკვე არაერთი კვლევითი დაწესებულებისა და უნივერსიტეტის ინტერესი გამოიწვია. იქმნება სოციალურ მენარმეობაზე მორგებული პროგრამები, ქოუჩინგისა და მენტორობის შესაძლებლობები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც ბიზნესის განვითარებისა და სტრატეგიის შექმნის უნარების, ისე მენარმეობის სოციალური გავლენის შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მომხმარებლების, თანამშრომლებისა და მოხალისეების ჩართვის განვითარებას შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავებით. რიგ ქვეყნებში ამ დარგში პროფესიული კურსების განვითარებასთან ერთად (ავსტრია), ტარდება ღონისძიებები ადგილობრივ თემებს შორის (შორს მდებარე და სოფლის ტიპის დასახლებებში) ამ უნარების განსავითარებლად (ავსტრია, ბულგარეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, სლოვაკეთი). ამასთან, აუცილებელია საჯარო მოხელეებისა და ფინანსური დაწესებულებების წარმომადგენელთა გადამზადებაც, რათა მათი ცოდნა სოციალური საწარმოების უნიკალური ბუნებისა და საჭიროებების შესახებ გაიზარდოს და შემცირდეს შეუსაბამოდ მაღალი საკრედიტო გარანტიების დაკისრების მაჩვენებელი. საჯარო მოხელეების გადამზადება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათი ცნობიერების ზრდას სოციალური საწარმოების დადებითი როლის შესახებ და შეამცირებს სფეროში არსებულ შეზღუდვებს; აღნიშნული გაამარტივებს სახელმწიფო შესყიდვებში ამ ტიპის ორგანიზაციების ჩართვას (კვიპროსი, ჩეხეთი, ნიდერლანდები, რუმინეთი, შვედეთი).

აღნიშნული დარგი სასწავლო დაწესებულებების კურიკულუმის ნაწილიც გახდა. არსებობს პრაქტიკული, მოკლევადიანი კურსები და სრულფასოვანი პროგრამები, რომლებიც ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმშიც. გაერთიანებული სამეფოს ღია უნივერსიტეტი და დისტანციური განათლების ეროვნული უნივერსიტეტი (UNED) ესპანეთში იმ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კარგი მაგალითია, რომელთაც აქვთ სოციალური მენარმეობის სრულფასოვანი კურიკულუმი. ამავდროულად, აღსანიშნავია სლოვაკეთისა და სლოვენის მაგალითებიც, სადაც რეგიონული განვითარების სააგენტოები, კერძო სექტორი და საჯარო დაწესებულებები უნივერსიტეტებთან თანამშრომლობენ შესაბამისი პროგრამების შექმნისა და აღსრულების მიზნით. პროგრამებში განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული ქსელის შექმნის, ლიდერობის, კომუნიკაციის, ბიზნეს და ორგანიზაციული მართვის უნარების გაძლიერებაზე. ამასთან, პროგრამებით თუ ტრენინგ კურსებით გათვალისწინებულია დამატებითი დაფინანსების მოპოვების, პოტენციურ ინვესტორებთან ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობაც. ამგვარი პროგრამების მიზანია საწარმოების ფინანსური მდგრადობის, სოციალური გავლენისა და ინოვაციების საქმიანობაში ინტეგრირების პრინციპების რეალიზება. გარდა ამისა, მოქმედებს სხვადასხვაგვარი ინკუბატორი და აქსელერატორი, რომლებიც საკონსულტაციო სერვისების მიწოდებასა თუ ფინანსური რესურსების გამოყოფაზე არიან ორიენტირებულნი. სოციალური მენარმეობისათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებაზე ასევე ორიენტირებულნი არიან სოციალური



საწარმოები და ე.წ. მეორე დონის ორგანიზაციები (კოალიციები, კავშირები), რომელთა საქმიანობის სფერო სწორედ ამ ტიპის ბენეფიციართა განათლებას მოიცავს. ასეთი საგანმანათლებლო სოციალური საწარმოების შემოსავალია საგრანტო პროექტები, ტენდერები.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს მაგალითზე აღსანიშნავია სოციალური მენარმეობის პრაქტიკული კურსი, რომელიც 2019-2020 წლის შემოდგომის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე დაინერგა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) თანამშრომლობით. კურსი წარმატებით გაიარა 17-მა სტუდენტმა და შედეგად შეიქმნა 7 სოციალური საწარმოს იდეა<sup>79</sup>.

აღსანიშნავია, ასევე Mercy Corps-ის ინიცირებით ჩატარებული ტრენინგების სერია სოციალურ მენარმეობაში ჩართული ახალგაზრდებისა და საგრანტო კონკურსი წარმატებული მსმენელებისათვის, რომელიც პროექტის „სოციალური მენარმეობა სომხეთსა და საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა<sup>80</sup>. გარდა ამისა, CENN-ის პროგრამასთან EU4Youth - „საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სოციალური მენარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისთვის“ პარტნიორობით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან შემუშავდა მწვანე მენარმეობის პრაქტიკული კურსი (ბაკალავრიატის საფეხური), რომელიც მიზნად ისახავს, სტუდენტებს მისცეს მწვანე მენარმეობის შესახებ არსებული ძირითადი თეორიებისა და საკითხების ღრმა და ბაზისური ცოდნა; დაანახოს პრაქტიკაში მწვანე მენარმეობის კონცეფცია, მიმართულებები და შესაძლებლობები; განუვითაროს, მწვანე მენარმეობის კუთხით, სამენარმეო აზროვნება და საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები; მისცეს შესაძლებლობა, პრაქტიკაში გამოცადოს და რეალურად გაიაროს იდეის გენერირებიდან მის განვითარებამდე მწვანე სტარტაპის ჩამოყალიბების პროცესი<sup>81</sup>.

## **გავლენის მახოვა, შეფასება/გაზომვა და ანგაჩიშგება**

სოციალური საწარმოების საქმიანობის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენის შეფასების სწორი მექანიზმების დანერგვა უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა.

შედეგის გაზომვის მნიშვნელობა დიდია. პოტენციურად ის სოციალურ საწარმოებს ახალი, კერძო, ინსტიტუციური თუ სახელმწიფო დონორების მოზიდვაში შეიძლება დაეხმაროს. გარდა ამისა, გავლენის შეფასება საწარმოებს აძლევს შესაძლებლობას, განსაზღვრონ რეალისტური მიზნები და ამოცანები, ზედამხედველობა გაუწიონ და გააუმჯობესონ საკუთარი საქმიანობა, დაალაგონ გადამწყვეტილებები პრიორიტეტებად და გახდნენ კონკურენტუნარიანი ფასიანი ქალაქების ბაზარზე<sup>82</sup>.

79. <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/bte/siaxleebi-273/socialuri-mewarmeobis-praqtikuli-kur-sis-shesaxeb.page>

80. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/56/56798.pdf>

81. <https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2021-03/1.%20Green%20Entrepreneurship%20BA%20Course%20-%20Iliauni%20Syllabus%20%28GE%29.pdf>

82. Nicholls, A. (2007), What is the Future of Social Enterprise in Ethical Markets, Office of The Third Sector, London.

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საწარმოს სოციალური გავლენის შეფასება. სხვადასხვა განმარტების თანახმად, ეს უკანასკნელი განიმარტება, როგორც:

- საქმიანობის შედეგად შექმნილი საჯარო ფასეულობა;
- ბენეფიციარებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის შექმნილი კეთილდღეობის ხარისხი;
- გავლენა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც დადებით, ისე უარყოფით ასპექტებს;
- ის შედეგი, რომელიც არ იარსებებდა შემოთავაზებული აქტივობის გარეშე<sup>83</sup>.

ევროკომისიის დასაქმების, სოციალურ საქმეთა და ინკლუზიის გენერალური დირექტორატის ფარგლებში, სოციალური ეკონომიკისა და სოციალური საწარმოების ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2014 წელს შემუშავებული სოციალური შედეგის შეფასების სახელმძღვანელო დოკუმენტში<sup>84</sup> ხაზგასმითაა მითითებული, რომ შეუძლებელია მკაცრი, ერთგვაროვანი მიდგომის გამოყენება სოციალური გავლენის ინდიკატორების შემუშავების დროს. ამის მიზეზი არაერთია, კერძოდ:

- სოციალური საწარმოების სამიზნე გავლენის მრავალფეროვნების გამო შეუძლებელია თითოეულ მათგანზე ზუსტად მორგებული და ამავდროულად, საკმარისად კონკრეტული ინდიკატორების შემუშავება;
- რაოდენობრივი ინდიკატორების გამოყენებამ, რომლებიც უფრო ნათელ სურათს გვიქმნის გავლენის შესახებ, შესაძლებელია, გარკვეული თვისებრივი მახასიათებლები არ აჩვენოს ან წარმოაჩინოს ისინი უფრო სუსტად, ვიდრე რეალურადაა;
- გავლენის ანგარიშზე მუშაობა შეიძლება არა ხარჯთეფექტური და ზედმეტად მძიმე აღმოჩნდეს შედარებით პატარა ზომის, შეზღუდული რესურსების მქონე საწარმოებისათვის;
- სხვადასხვა ტიპის სოციალური საწარმოების სოციალური გავლენა შეიძლება ვერ განისაზღვროს სტანდარტული ინდიკატორების გამოყენების გამო;
- სოციალური მენარმეობის სწრაფი განვითარება ინდიკატორების მოძველებას შეიძლება იწვევდეს.

მიუხედავად აღნიშნულისა, დოკუმენტი ასახავს იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც უნდა განისაზღვროს სოციალური საწარმოების მიერ საკუთარი გავლენის შესაფასებლად. კერძოდ, დონორების, ბენეფიციარების, სოციალური საწარმოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაბალანსების მიზნით, დოკუმენტი აუცილებლად მიიჩნევს ერთგვარი ჩარჩო-შეფასების კრიტერიუმების არსებობას, რომლებიც განსაზღვრებადი შედეგების 80%-ის შეფასებას მაინც შეძლებს. ინდიკატორები სოციალური საწარმოების მიერ შეთანხმებული უნდა იყოს ყველა დაინტერესებულ პირთან (მათ შორის, ინვესტორებსა და ბენეფიციარებთან). სოციალური გავლენის გაზომვის ეფექტიანობის მისაღწევად, გამოყენებული ტექნიკა და შემუშავებული ინდიკატორები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

83. <https://www.oecd-ilibrary.org/docserver/5jrtpbx7tw37-en.pdf?expires=1618814726&id=id&accname=guest&checksum=4E0D032E46051B73E1A17CB81E15FEA5>

84. Proposed approaches to social impact measurement in European Commission legislation and in practice relating to Eu-SEFs and the EaSI; GECEs sub-group on impact measurement 2014; <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/0c0b5d38-4ac8-43d1-a7af-32f7b6fc1cc>

- რელევანტობა - შეფასების მექანიზმი უნდა უკავშირდებოდეს და ლოგიკურად ებმებოდეს იმ შედეგებს, რომელსაც ის ზომავს;
- სასარგებლო - უნდა გვაძლევდეს ინფორმაციას, თუ რამდენად აკმაყოფილებს შედეგი დაინტერესებულ პირთა საჭიროებებს;
- მარტივი - როგორც შეფასების პროცესი, ისე მთავარი მიგნებები ადვილად გასაგები უნდა იყოს;
- ლოგიკური - უნდა აფასებდეს აქტივობის შედეგად მიღებულ შედეგს;
- ზუსტი - როგორც მოძიებული ინფორმაცია, ისე საბოლოო ანგარიშგების დოკუმენტი, ზუსტად უნდა ასახავდეს შეფასების შედეგებს;
- გასაგები და მისაღები ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- გამჭვირვალე და ნათელი - ნათელი უნდა იყოს, თუ რა მეთოდი გამოიყენეს შეფასებისას და როგორ უკავშირდება ეს მიწოდებულ სერვისსა თუ პროდუქტს.
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული - შესაძლებელი უნდა იყოს გაზომვის მეთოდოლოგიისა და მიღებული შედეგების რეპლიკაცია და ვალიდაცია გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში<sup>85</sup>.

**ინდიკატორების შემუშავების პროცესი შემდგენიერად გამოიყურება:**

- მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა - რა უნდა გაიზომოს;
- გავლენა დაინტერესებულ პირებზე - ვინ იგებს და რა გზით, ვისგან მოდის რესურსები;
- შესაბამისი საზომების შემოღება - სოციალური სანარმოს მიერ დაგეგმილი ინტერვენცია როგორ შეუწყობს ხელს ბენეფიციართა და სხვა დაინტერესებული პირების მთავარი საჭიროებების დაკმაყოფილებას. აღნიშნული ეტაპი მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალური სანარმოების მიერ ცვლილების თეორიის შემოღება-დამკვიდრებასთან. საზომი ერთეული ყველაზე ზუსტად უნდა აფასებდეს კავშირს ორგანიზაციულ ცვლილების თეორიასა და მიღწეულ გავლენას შორის;
- გაზომვა, ვალიდაცია და შეფასება - ამ ეტაპზე უნდა განისაზღვროს, რამდენად მიაღწიეს მოსალოდნელ შედეგს, რა გავლენა იქონია ამ შედეგმა ბენეფიციარებსა და სხვა დაინტერესებულ პირებზე;
- ანგარიშგება, შესწავლა და გაუმჯობესება: სერვისებისა და პროდუქციის მიწოდების, ასევე საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრის შემდეგ შედეგები ეცნობება შიდა და გარე აუდიტორიას.

საქმიანობის შეფასება საჭიროა როგორც უშუალოდ სოციალური სანარმოსათვის, ისე იმ დაინტერესებულ პირთა/მთავარ აქტორთათვის, რომლებთანაც სოციალურ სანარმოს პარტნიორული ურთიერთობა აქვს. სწორედ ამიტომ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოყალიბებულია თუ რომელ აქტორს რა მიზნით ესაჭიროება საკუთარი საქმიანობის შედეგის (მათ შორის, სოციალური გავლენის) შეფასება.

85. Proposed approaches to social impact measurement in European Commission legislation and in practice relating to Eu-SEFs and the EaSI; GECES sub-group on impact measurement 2014; <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/0c0b5d38-4ac8-43d1-a7af-32f7b6fcf1cc>

აქტორი	გაზომვის საჭიროება	გაზომვის მიზანი
სოციალური სანარმო	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცვლილების ნათელი თეორიის შესაქმნელად, რომელშიც აქტივობა და რესურსები მოკლევადიანი რეზულტატებს (output) ლოგიკურად უკავშირდება;</li> <li>• სასურველი შედეგების (outcome) მისაღწევად აუცილებელი მოკლევადიანი რეზულტატების (output) დაგეგმვა;</li> <li>• საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების (KPI) შესაქმნელად.</li> </ul>	<p>სოციალურმა სანარმომ აღნიშნული უნდა გამოიყენოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სერვისისა და პროდუქტის მიწოდების დაგეგმვისას;</li> <li>• რესურსების გამოყოფის გასაუმჯობესებლად;</li> <li>• საქმიანობის მართვისათვის;</li> <li>• დაინტერესებულ პირებთან ანგარიშების მიზნით.</li> </ul>
სოციალური სანარმო	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფოკუსი პოლიტიკურ შედეგებზე (policy deliverables), რომლებიც სოციალური სანარმოების მიერ განსაზღვრულ შედეგებზე უფრო ვიწრო შეიძლება იყოს;</li> <li>• თანამშრომლობის პერიოდში სოციალური სანარმოს საქმიანობის თანმიმდევრულობის დემონსტრაციისათვის.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პოლიტიკური ღონისძიების მიწოდების ეფექტიანობის შესაფასებლად;</li> <li>• ხარჯვის გაკონტროლების მიზნით;</li> <li>• პოლიტიკურ ღონისძიებათა მიმართულების განსასაზღვრავად.</li> </ul>
დონორი და ინვესტორი	<ul style="list-style-type: none"> <li>• მეტი აქცენტი გრანტის/ინვესტიციის პერიოდში მისაღწევ რეზულტატებსა და შედეგებზე</li> <li>• ფოკუსირებული ინვესტორთან/დონორთან შეთანხმებულ KPI-ებზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინვესტიციების/გრანტის გაცემის მიზანშეწონილობის შესაფასებლად;</li> <li>• სოციალური სანარმოს მიერ შესრულების ხარისხის შესაფასებლად;</li> <li>• რისკსა და მისაღწევ სარგებელს შორის ბალანსის დასადგენად;</li> <li>• გამოყენებულ რესურსებზე, შედეგებსა და მიღწევებზე ანგარიშების შეუფერხებელი პროცესის უზრუნველსაყოფად<sup>86</sup>.</li> </ul>

მსოფლიოს მასშტაბით არსებული სოციალური სანარმოების ნაწილი საქმიანობის ანალიზის მთავარ მიგნებებს ინდივიდუალური გავლენის ანგარიშების გზით უზიარებს დაინტერესებულ პირებს, თუმცა ჯერ კიდევ მცირე ნაწილი იყენებს სტანდარტულ შეფასების ტექნიკებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იტალიაში დანერგილი ე.წ. GBS სტანდარტები (Gruppo di studio per il bilancio di sostenibilit )<sup>87</sup> და GRI სტანდარტები (Global reporting Initiative)<sup>88</sup>, რომლებიც სოციალური სანარმოების გავლენის სტრუქტურირებული გაზომვის შესაძლებლობას იძლევა. გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის (Agenda 2030)<sup>89</sup> ინდიკატორები, ასევე, აძლევს საშუალებას სოციალურ სანარმოებს, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებით შეაფასონ საკუთარი საქმიანობის ეფექტი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ის ძირითადი მიმართულებები/შეფასების ტექნიკები, რომლებიც სანარმოს სოციალური გავლენის გასაზომად პრიორიტეტულია<sup>90</sup>.

86. Proposed approaches to social impact measurement in European Commission legislation and in practice relating to Eu-SEFs and the EaSI; GECES sub-group on impact measurement 2014; <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/0c0b5d38-4ac8-43d1-a7af-32f7b6fcf1cc>

87. [http://www.gruppobilanciosociale.org/wp-content/uploads/2016/07/NEW3\\_GBS\\_2013\\_SOCIAL-REPORTING.pdf](http://www.gruppobilanciosociale.org/wp-content/uploads/2016/07/NEW3_GBS_2013_SOCIAL-REPORTING.pdf)

88. <https://www.globalreporting.org/how-to-use-the-gri-standards/gri-standards-english-language/>

89. [https://unstats.un.org/sdgs/indicators/Global%20Indicator%20Framework%20after%202021%20refinement\\_Eng.pdf](https://unstats.un.org/sdgs/indicators/Global%20Indicator%20Framework%20after%202021%20refinement_Eng.pdf)

90. Proposed approaches to social impact measurement in European Commission legislation and in practice relating to Eu-SEFs and the EaSI; GECES sub-group on impact measurement 2014; <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/0c0b5d38-4ac8-43d1-a7af-32f7b6fcf1cc>

ტერმინი	განმარტება	პრაქტიკაში გამოყენების მაგალითი (მხარდაჭერისა და მენტორობის გზით ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა)
რესურსი	აქტივობის განსახორციელებლად საჭირო რესურსები (თანხა, ექსპერტიზა და პირთა დრო, ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა); რესურსები შეიძლება სოციალურ შედეგსაც მოიცავდეს, როცა მოწყვლადი ჯგუფის წევრები (ბენეფიციარები) იმავდროულად მოხალისეები ან დაქირავებული თანამშრომლები არიან.	<ul style="list-style-type: none"> <li>დაფინანსება, რომელიც ტრენინგ კურსების შესაქმნელადაა საჭირო, შესაბამისი დრო და მენტორების ანაზღაურება;</li> <li>ინფრასტრუქტურა და სხვა ინსტრუმენტები;</li> <li>ტრენინგებისა და მენტორების დრო და გამოცდილება (მათი ნაწილი შეიძლება მოხალისე იყოს, ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იყოს სტანდარტული საბაზრო ანაზღაურების მაჩვენებელი იმის ხაზგასასმელად, რომ აღნიშნულ პირებს დროის სხვაგვარად გამოყენება შეეძლოს).</li> </ul>
აქტივობა	შრომა რესურსების გამოყენებით სასურველი შედეგის მისაღწევად.	<ul style="list-style-type: none"> <li>ჯგუფური აქტივობები მხარდაჭერის სისტემის შესაქმნელად;</li> <li>ძირითადი უნარების განვითარებაზე მიმართული ტრენინგები;</li> <li>მენტორობის სესიები.</li> </ul>
მოკლევადიანი რეზულტატი (output)	აქტივობის რეზულტატები: რამდენმა ბენეფიციარმა ისარგებლა პროდუქტით თუ სერვისით.	<ul style="list-style-type: none"> <li>რამდენი ახალგაზრდა იყო ჩართული სქემაში;</li> <li>რამდენი მათგანი დასაქმდა პროგრამაში მონაწილე დამსაქმებლების მიერ.</li> </ul>
(სოციალური) შედეგი (outcome)	აქტივობის შედეგად მიღწეული ცვლილება: სოციალური ეფექტი, პოზიტიური და ნეგატიური ცვლილებები, დაგეგმილი და მოულოდნელი შედეგები ბენეფიციარებსა და საზოგადოებაზე.	<ul style="list-style-type: none"> <li>სამუშაო ადგილის შენარჩუნების დონე ბენეფიციართა მიერ;</li> <li>შეცვლილი დამოკიდებულება დასაქმებისადმი (აქტუა იმისა, რომ ბენეფიციარებს სამუშაო ადგილის პოვნა და შენარჩუნება შეუძლიათ);</li> <li>დამატებითი უნარების შექმნის შესაძლებლობა (პროფესიული ზრდა);</li> <li>დასაქმების შედეგად სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულების შემცირება;</li> <li>შემცირებული ანტისოციალური ქმედებები.</li> </ul>
(სოციალური) გავლენა	სოციალური სანარმოს საქმიანობის შედეგების გავლენა სოციალურ შედეგებზე. გამოირიცხება შედეგი, რომელიც სოციალურ სანარმოს აქტივობის გარეშეც ექნებოდა მიღწეული; შედეგი, რომლის მიღწევაში წამყვანი როლი სხვა აქტორებმა შეასრულეს და ყველა არამდგრადი შედეგი (ცვლილება, რომელიც აქტივობის დასრულებიდან მალევე დაუბრუნდა საწყის მდგომარეობას).	<ul style="list-style-type: none"> <li>გამოირიცხებიან ახალგაზრდები, რომლებიც დასაქმდებოდნენ პროგრამის გარეშე;</li> <li>გავლენა ფასდება დროის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ასევე, იმ ინდივიდთა გათვალისწინებით, რომელთა ცხოვრება არსებითად შეიცვალა უმუშევრობისა და გარიყვის ჯაჭვის გარღვევის შედეგად.</li> </ul>

საქართველოში გამოკითხულ სოციალურ სანარმოებს, ზემოთ დასახელებულის მსგავსი მონიტორინგის სისტემური მეთოდის დანერგვა არ აქვთ. საგრანტო პროექტებისა თუ საკრედიტო პროგრამების მონაწილეობის ფარგლებში, მათი სოციალური გავლენის გაზომვა ფასდება უშუალოდ შესაბამის პროექტებში განხორციელებული ინდიკატორების შესაბამისად (ინტერვიუ „კოდალასთან“). გარდა ამისა, სოციალური გავლენის სპორადული გაზომვის მეთოდს წარმოადგენს დასაქმებული მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლების წილის განსაზღვრა თანამშრომელთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით. სოციალური სანარმოების ნაწილის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგ.: საქმიანობა გარემოსდაცვით სფეროში), მათი გავლენის შეფასება შესაბამის სფეროში შედარებით მარტივდება (გადამუშავებული ქალაქის შედეგად გადარჩენილი ხეების ოდენობა). აღნიშნული სამი მიდგომა ნაწილობრივ იძლევა საშუალებას, შევაფასოთ ის სოციალური სიკეთე, რომელიც აღნიშნული სანარმოების შედეგად იქმნება.



მსგავსი ტიპის სანარმეობის სოციალური გავლენის შეფასების მექანიზმების არარსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს მათ ხილვადობას. ეს აისახება საზოგადოების ნაწილის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების შესაძლებლობაზე, დაინახონ არსებითი განსხვავება სოციალურ და ტრადიციულ სანარმეობს შორის, რაც ამ უარყოფით გავლენას ახდენს - (1) სფეროს საკანონმდებლო რეგულირების მცდელობებსა და (2) საზოგადოების წევრების სურვილზე, მხარი დაუჭირონ მსგავს სანარმეობს.

## დასკვნა და ხეკომენდაციები

არსებული მასალის ანალიზისა თუ მენარმეობის სფეროში არსებული აქტორების გამოკითხვამ აჩვენა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში, სოციალური მენარმეობის განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, გამოწვევები არსებობს ეკოსისტემის შვიდივე ელემენტის კუთხით:

- სამოქალაქო აქტივიზმის შედარებითი სისუსტის, ახალგაზრდებს შორის სამენარმეო უნარების ნაკლებობის გათვალისწინებით, სფეროს განვითარება შედარებით ნელა მიმდინარეობს. აღნიშნულს ემატება სოციალური მენარმეობის არსისა და საჭიროების კუთხით არსებული განსხვავებული დამოკიდებულებები - გამოკითხულ მენარმეთა ნაწილისთვის სფეროს სამენარმეო კომპონენტის სრულად ინტეგრირება საქმიანობაში და შესაბამისად, მდგრადობა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. ეკოსისტემის მონაწილეთა ნაწილი კი სკეპტიკურადაა განწყობილი სოციალური მენარმეობის წარმატების მიმართ საქართველოში და მიიჩნევს, რომ სოციალური თუ ეკონომიკური მიზნების მიღწევა სოციალურ მდგრადობაზე ორიენტირებული ტრადიციული სანარმეობის მიერ ბევრად უფრო ხარჯეფექტიანად იქნება შესაძლებელი;
- სოციალურ მენარმეთა მიერ საკუთარი საქმიანობის მნიშვნელობის აღქმის, კომუნიკაციისა და მიღწეული სოციალური შედეგის გაზომვასთან დაკავშირებული უნარების ნაკლებობის გამო მათ მიერ მიღწეული პოზიტიური შედეგი ხშირად შეუმჩნეველი რჩება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და არასამთავრობოს სექტორის წარმომადგენელთა შორის. აღნიშნული, ნაწილობრივ, შესაბამისი საკანონმდებლო თუ მარეგულირებელი ჩარჩოს არარსებობითაც შეიძლება აიხსნას. სამართლებრივი რეგულაციების არარსებობის შედეგად, როგორც ზემოთ აღინიშნა, სოციალური სანარმეობის უმეტესობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან არასამენარმეო იურიდიული პირის სახით რეგისტრირდება, შესაბამისად, ისინი უმკლავდებიან გარკვეულ გამოწვევებს გადასახადების ადმინისტრირების, გადახდის თუ საგრანტო პროექტებზე წვდომის კუთხით, რაც, თავისთავად, სანარმეობის მდგრად განვითარებაზე აისახება;
- სახელმწიფო თუ კერძო სექტორში არსებული შესაძლებლობები ნაკლებადაა მორგებული შედარებით ნელა განვითარებად სოციალურ სანარმეობზე, რომელთა მოგების დიდი ნაწილი, სამუშაო ბაზარზე არსებულთა შედარებით უკეთესი სახელფასო პოლიტიკის შექმნასა და გარემოზე უარყოფითი ეფექტის შემცირებაზე იხარჯება;



- სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკის შექმნასა და სანარმეობის სოციალური გავლენის ფართო მასებისათვის გაცნობაზე პასუხისმგებელი უწყების გარეშე, ამ სფეროს მხარდამჭერი სახელმწიფო თუ ადგილობრივი პროგრამები წერტილოვანია და არაა დაფუძნებული მეწარმეთა საჭიროებებზე;
- კერძო სექტორის მიერ დაგეგმილი მხარდამჭერი პროგრამები (საგრანტო პროექტები თუ საკრედიტო მექანიზმები) ასევე სპორადულია, შედარებით მცირე თანხის გაცემას გულისხმობს, რაც სტარტაპ კომპანიების საჭიროებებზე ნაკლებადაა მორგებული;
- დაბალი მსყიდველობითი უნარის, სოციალური მეწარმეობის ეკონომიკასა თუ დასაქმებულებზე გავლენის არცოდნის გამო, მომხმარებელთა დიდი ნაწილი უპირატესობას ანიჭებს შედარებით დაბალი ფასის მქონე პროდუქტსა თუ სერვისს. სოციალური სანარმეობის საქმიანობის სპეციფიკიდან (აქცენტი შედარებით მაღალ ხელფასზე, გადამუშავებული მასალის გამოყენებაზე, ორიენტაცია მომხმარებელთა ვინრო სეგმენტზე) გამომდინარე კი სოციალური სანარმეობი, რომელთა უმეტესობა ბაზარზე მხოლოდ 3-5 წელია რაც საქმიანობს, კონკურენციას ვერ უწევენ უფრო ხანგრძლივი ისტორიის მქონე ტრადიციულ სანარმეობს.

ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ ზემოთ დასახელებული გამოწვევების მიუხედავად, აშკარაა სოციალური მეწარმეობის პოზიტიური გავლენა დასაქმების პოლიტიკაზე, მონყვლადი ჯგუფების სამუშაო ბაზარზე ჩართვაზე, გარემოსა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე, ახალგაზრდებს შორის სამოქალაქო აქტივიზმის წახალისებაზე. გარდა ამისა, პოლისტური მიდგომის დანერგვის შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო, კერძო სექტორი, დონორი ორგანიზაციები და სოციალური სანარმეობი გადადგამენ ნაბიჯებს სოციალური ეკონომიკის განსავითარებლად დარგებში, სადაც სახელმწიფო სერვისის მიწოდება არახარჯეფექტური ან უბრალოდ ძვირია, ხოლო ტრადიციულ სანარმეობს საქმიანობის ინტერესი ნაკლებად აქვთ, შესაძლებელია საფუძველი ჩაეყაროს საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) ახალ მიმართულებას, განსაკუთრებით, ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ინოვაციის ხელშეწყობას ეხება. თუმცა, ამგვარი პარტნიორობის დამყარების მიზნით აუცილებელია სოციალური სანარმოთათვის შესაბამისი ეკოსისტემის შექმნა და მათი შესაძლებლობების არსებითი გაძლიერება.

**კერძოდ, მიზანშეწონილია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:**

## ჩეკონმენდაციები

1. ჩატარებული სამაგიდო კვლევისა თუ სოციალური მენარმეობის სფეროსთან დაკავშირებული აქტორების გამოკითხვამ აჩვენა კანონმდებლობის დონეზე სოციალური მენარმეობის აღიარების, ცნების განმარტებისა და შესაბამისი რეგულატორული ჩარჩოს ჩამოყალიბების საჭიროება<sup>91</sup>. შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა მათ საშუალებას მისცემს, საკუთარი მიზნების შესაბამის რეგულირებას დაექვემდებარონ საგადასახადო, საგრანტო და საჯარო შესყიდვების სფეროებში; ისარგებლონ მათზე მორგებული საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტებით. მარეგულირებელი ჩარჩო შექმნის სოციალური სანარმოს სტატუსის ბოროტად გამოყენებისგან დაცვის მექანიზმს - შესაძლებელი იქნება შეფასდეს სანარმეობის რეალური სოციალური გავლენა, მონაწილეობითი მმართველობისა თუ მოგების რეინვესტირების ხარისხი. კანონმდებლობის არსებობის შედეგად შესაძლებელი იქნება სოციალური სანარმეობის შესახებ ინფორმაციის განგრძობითი მოპოვება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შექმნა<sup>92</sup>;
2. კანონმდებლობაზე მუშაობის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს საერთაშორისო პრაქტიკა<sup>93</sup>, რომლის თანახმადაც, არაა მიზანშეწონილი სოციალური სანარმეობისათვის დასაშვები საქმიანობის სფეროების შეზღუდვა. კანონპროექტი აქცენტს უნდა აკეთებდეს სოციალური სანარმეობის პრინციპულ მახასიათებლებზე<sup>94</sup> საქმიანობის სფეროების ამომწურავი სიის ჩამოთვლის გარეშე. ნაცვლად ამისა, შესაძლებელია პირველ ეტაპზე განისაზღვროს ის მიმართულებები, რომლებშიც სოციალურ სანარმეობს ტრადიციულ ბიზნესთან შედარებით უფრო მეტი სოციალური შედეგის მოტანა შეუძლია და შესაბამის სფეროებში

91. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოების ნაწილის შემთხვევაში (ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი), არ მოქმედებს ცალკემდგომი კანონი სოციალური მენარმეობის შესახებ. მიუხედავად ამისა, დიდ ბრიტანეთში Community Interest Company-ს მოდელის არსებობა ხელს უწყობს სოციალური სანარმეობის აღიარებას, პოზიციონირებასა და სფეროს განვითარებას. ქვეყნების ნაწილში მოქმედებს შესაბამისი კანონმდებლობა (იტალია, სლოვენია). Social enterprises and their ecosystems in Europe – Comparative synthesis report; <https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=738&langId=en&pubId=8274>

92. Social enterprises and their ecosystems in Europe – Comparative synthesis report; <https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=738&langId=en&pubId=8274>

93. [http://segeorgia.org/FILES/doc/343\\_Desk\\_Research\\_State\\_SE\\_Support\\_Mechanisms\\_GEO.pdf](http://segeorgia.org/FILES/doc/343_Desk_Research_State_SE_Support_Mechanisms_GEO.pdf)

94. კერძოდ, ევროპის საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (EMES) სოციალური სანარმო კრიტერიუმების თანახმად, სოციალური სანარმოდ მიიჩნევა ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ დებულებათა უმრავლესობას: საქონლის ან მომსახურების უწყვეტი წარმოება/მიწოდება; ეკონომიკური რისკის არსებითი ხარისხი; ანაზღაურებადი სამუშაოს მინიმალური სტანდარტი (თუნდაც მინიმალური რაოდენობის ანაზღაურებადი თანამშრომლების არსებობის საჭიროება); სოციალური მიზანი; მოქალაქეთა ჯგუფის მიერ ინიცირებული აქტივობა; მოგების შეზღუდული განაწილება; ავტონომიის მაღალი ხარისხი; გადაწყვეტილების მიღების თანამონაწილეობრივი ხასიათი; საერთო, მონაწილეობითი გარემო დაინტერესებულ მხარეთათვის. [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/583123/IPOL\\_STU%282017%29583123\\_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/583123/IPOL_STU%282017%29583123_EN.pdf)

დაინერგოს წამახალისებელი მექანიზმები<sup>95</sup>. აღნიშნული პრიორიტეტული სფეროების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს სუბსიდიების სახეობებიც და მათი გაცემის, მიღებისა და იმპლემენტაციის წესები (მაგალითად, ხელფასის სუბსიდირების პროგრამა ახალი სამუშაო ადგილის შექმნის და/ან მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა დასაქმების შემთხვევაში);

3. გადანაცვტილება უნდა იყოს მიღებული, ასევე, სოციალური სანარმოს იურიდიულ ფორმასთან დაკავშირებით. საქართველოს შემთხვევაში, სოციალური სანარმოს ცალკე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შექმნის ნაცვლად, მისაღებია ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული ერთეულისათვის სოციალური სანარმოს სტატუსის მინიჭება, თუ ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. საკანონმდებლო ჩარჩო უნდა ასახავდეს სოციალური სანარმოს სტატუსის მოპოვებისა და ჩამორთმევის წინაპირობებსა და პროცესს<sup>96</sup>. ამგვარი მიდგომა გაზრდის სოციალური სანარმოს ინტერესს, დააკმაყოფილოს საკანონმდებლო მოთხოვნები, რათა არ დაკარგოს საკუთარი სტატუსი და საშუალებას მისცემს მენარმეებს, შეარჩიონ მათი საქმიანობისათვის ყველაზე მისაღები ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
4. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სოციალური სანარმოს შინაარსიდან (სამენარმეო საქმიანობის მნიშვნელობა) გამომდინარე, დროთა განმავლობაში, ასევე, მნიშვნელოვანია, წახალისდეს სამენარმეო იურიდიული პირის ფორმით შექმნილი ერთეულების აღიარება სოციალურ სანარმობად და უკვე ა(ა)იპ-ების ფორმით რეგისტრირებული ერთეულების რეორგანიზაცია სამენარმეო იურიდიულ პირებად;
5. სოციალური სანარმობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს ცვლილებები სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში. მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსით შესაძლებელია დადგინდეს გარკვეული წამახალისებელი მექანიზმები სოციალური სანარმობისათვის:

95. საინტერესოა ლიტვაში მოქმედი სოციალური სანარმობის კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს (ასევე მოიაზრება მხარდაჭერი და საგადასახადო სისტემის ერთგვარი მორგებაც სოციალურ სანარმობებზე) და სოციალური მენარმეობის ცნობადობის გაზრდას ფართო საზოგადოებაში. ამგვარი კონცეფცია ასახავს სახელმწიფოს ინტერესს, ხელი შეუწყოს სოციალური მენარმეობის განვითარებას. გარდა ამისა, ლიტვის კონცეფცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოციალური ინოვაციების განვითარებას. [https://issuu.com/verslumas/docs/social\\_entreprise\\_business\\_cases\\_lt\\_ee\\_fin\\_compres](https://issuu.com/verslumas/docs/social_entreprise_business_cases_lt_ee_fin_compres)

96. ამ თვალსაზრისით, საინტერესო პარალელის გაღება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობასთან, რომლის ფარგლებშიც საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭება ხდება იმ ორგანიზაციისათვის, რომელიც შექმნილია საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად, რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქვს საქველმოქმედო საქმიანობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შესაბამისი მუხლით განკარგულ მოთხოვნებს. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 32(2)

- a. მოგების გადასახადისაგან შეიძლება გათავისუფლდეს სოციალური სანარმოთა მიერ არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები (სამენარმეო იურიდიული პირის შემთხვევაში);
  - b. არასამენარმეო იურიდიული პირის სახით არსებული სოციალური სანარმოს შემთხვევაში, დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის განვითარების შედეგად მიღებული და შემდგომ რეინვესტირებული მოგება ასევე უნდა განთავისუფლდეს მოგების გადასახადისაგან (როგორც ეს სამენარმეო იურიდიული პირების შემთხვევაში ხდება), თუმცა წინამდებარე რეკომენდაცია უნდა განიხილებოდეს ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული დათქმის კონტექსტში (სოციალურ სანარმოთა მსურველი პირებისათვის სამენარმეო იურიდიულ პირებად რეგისტრაციის ნახალისება);
  - c. სამენარმეო იურიდიული პირის შემთხვევაში, შესაძლებელია, დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნება-ჩათვლა მოხდეს გრანტით შეძენილი პროდუქტებითა თუ მომსახურებით;
  - d. მნიშვნელოვანია შესაბამისი ცვლილებების ინიცირება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვადითა და წესით ათავისუფლებს მაღალმთიან რეგიონებში რეგისტრირებულ სამენარმეო სუბიექტებს გადასახადებისაგან<sup>97</sup>. მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ დასახელებული შეღავათი ა(ა)იპ-ის ფორმით რეგისტრირებულ სოციალურ სანარმოებსაც შეეხოს.
6. საკანონმდებლო ჩარჩოსა და პოლიტიკის ინსტრუმენტების შექმნასთან ერთად, მნიშვნელოვანია ცენტრალურ დონეზე პასუხისმგებელი სტრუქტურის იდენტიფიცირება, რომელიც წარმართავს სოციალური მენარმეობის განვითარებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს და მოახდენს ამ სფეროში სხვადასხვა უწყების საქმიანობის კოორდინაციას. სოციალურ მენარმეობასთან დაკავშირებული საკითხების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რომლებიც სხვადასხვა უწყების კომპეტენციაშია, საქართველოში შესაძლოა შეიქმნას უწყებათაშორისი საბჭო, რომელიც სოციალური ეკონომიკის სფეროში პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაზე, ზედამხედველობასა და სოციალური სანარმოების სტატუსის მინიჭებაზე, მათთვის შესაფერისი ეკოსისტემის შექმნაზე იქნება პასუხისმგებელი<sup>98</sup>;

97. კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, მუხლი 5(2);

98. რეგიონულ დონეზე მოქმედი პასუხისმგებელი უწყების განსაზღვრის თვალსაზრისით, საინტერესოა პოლონეთის მაგალითი, სადაც მოქმედებს სოციალური ეკონომიკის დახმარების ცენტრები (Social Economy Support Centres - OWES), რომლებიც ექვემდებარებიან აკრედიტაციას სახელმწიფო უწყების მიერ და სოციალურ სთავაზობენ კონსულტაციას (ზოგადი და დარგობრივი მიმართულებებით); სასწავლო კურსებს, ფინანსურ მხარდაჭერას, სოციალური მენარმეობის ადვოკატირებას ადგილობრივ დონეზე. მსგავსი მიდგომის საქართველოში დანერგვის შემთხვევაში, ქვეყანაში მოქმედი სოციალურ მენარმეთა ალიანსი შეიძლება მნიშვნელოვანი აქტორი იყოს იყოს სოციალური ეკონომიკის დახმარების ცენტრების ადგილობრივ დონეზე შექმნისა და აკრედიტირების პროცესში. <https://www.oecd-ilibrary.org/sites/9789264268500-4-en/index.html?itemId=/content/component/9789264268500-4-en>

7. სოციალური საწარმოების მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია კერძო სექტორის კომპონენტის გათვალისწინება. კერძოდ, მნიშვნელოვანია, მხარდაჭერის სისტემის შექმნისას, წახალისდეს როგორც ტრადიციულ და სოციალურ საწარმოებს შორის პროდუქტისა თუ სერვისის მიწოდების პროცესში თანამშრომლობის შესაძლებლობა, ისე მენტორობის და ტრენინგ პროგრამების შემუშავება, რომელთა ფარგლებშიც მენარმეები შესაბამისი უნარების განვითარებაში დაეხმარებიან სოციალურ საწარმოებს. გრძელვადიან პერსპექტივაში ამგვარი კოოპერაციული ურთიერთობების ჩამოყალიბება ტრადიციულ და სოციალურ საწარმოებს შორის წახალისებს ე.წ. ჰიბრიდულ ღირებულებათა ჯაჭვის შექმნასაც (იგულისხმება წარმოების პროცესი, რომლის ერთ-ერთ რგოლი შეიძლება იყოს სოციალურ საწარმო). აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ტრადიციული ბიზნესის ცნობიერების ამაღლებით სოციალური მდგრადობის კომპონენტისა და სოციალური საწარმოების მნიშვნელობის შესახებ;
8. სოციალური საწარმოებისათვის საკრედიტო სისტემაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია უკვე არსებული შესაძლებლობების მოდიფიცირება სოციალური ეკონომიკის საჭიროებების შესაბამისად. მაგალითად, პროგრამის „წარმოე საქართველოში“, რომელიც საბანკო სექტორისა და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობის კარგი მაგალითია, მის ფარგლებში ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებად შეიძლება გამოიყოს სოციალური მენარმეობის ხელშეწყობის სფერო;
9. სოციალური საწარმოების წარმომადგენლებისათვის საქმიანობის სამეწარმეო კომპონენტთან დაკავშირებული უნარების განვითარებაა აუცილებელი. სოციალურ საწარმოთა დიდი ნაწილი არასამთავრობო სექტორში დასაქმებული პირების მიერ/მხარდაჭერითაა დაარსებული, შესაბამისად, მათ ნაკლებად აქვთ სამეწარმეო უნარები. მიზანშეწონილია ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, სოციალური მენარმეობის შესაძლებლობების განვითარების პროცესში ტრადიციული საწარმოების წარმომადგენელთა ჩართვის მიზნით. საერთაშორისო გამოცდილების თვალსაზრისით, აღსანიშნავია ის, რომ ეფექტიანადაა მიჩნეული სოციალური საწარმოებისათვის ფინანსური მხარდაჭერის განვითარების და მათი უნარების განვითარებაზე ზრუნვის პროცესის კომბინირება<sup>99</sup>;

99. კერძოდ, ონტარიოს სოციალური ზეგავლენის ვაუჩერული პროგრამა მიზნად ისახავს სოციალური საწარმოების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას და ამ მიზნით, სოციალური საწარმოებისათვის გამოყოფს 3000 კანადური დოლარის ოდენობით. ვაუჩერების ადმინისტრირება ხდება შუამავალი ორგანიზაციების მიერ, რომლებიც, ფულადი დახმარების გაცემასთან ერთად, სოციალურ საწარმოებს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამას სთავაზობენ. <http://158.69.88.21/programs/campus-entrepreneurship/osiv-program>

10. მნიშვნელოვანია, დაინერგოს როგორც ფინანსური, ისე სოციალური გავლენის ანგარიშგების მექანიზმები. აღნიშნული ინსტრუმენტები, სხვა კომპონენტებთან ერთად, შეიძლება გახდეს სოციალური სანარმოს სტატუსის მინიჭებისა თუ ჩამორთმევის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ფინანსური ანგარიშგებისაგან განსხვავებით, სოციალური ანგარიშგების პროცესი შედარებით ახალი ცნებაა როგორც საქართველოში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით და შესაბამისად, ამ პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა სოციალური სანარმოებისათვის სანყის ეტაპზე შეიძლება რთული აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია სოციალური გავლენის გაზომვის საერთაშორისოდ აღიარებული ინსტრუმენტების<sup>100</sup> ადაპტაცია ქართულ რეალობასთან და სოციალური მენარმეების უნარების განვითარება შესაბამისი მიმართულებით.

100. დიდ ბრიტანეთში არსებული სოციალური აუდიტის ქსელის მეთოდოლოგია და შესაბამისი სახელმძღვანელო, რომელიც დეტალურად ასახავს სოციალური გავლენის გაზომვის კრიტერიუმებსა და პროცესს.<http://www.socialauditnetwork.org.uk/>





ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

